ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 30 ოქტომბერი, 2015 №255 (6875) ფასი: 30 თეთრი

ჯარჯი აქიმიძე: „გვითხრეს, ან რუსთავი 2 მოგვეცით, ან ყველაფერს დაკარგავთო!“

გვ.6

სააკაშვილი ბოკერიას: „უნდა იყოს ცხვირ-პირის დანაყვები და, თუ გაისვრიან, გაისროლონ“

გიგა ბოკერია: უკანონო მოსმენები გრძელდება”

გვ.4

შეიყვანს თუ არა ივანიშვილი საარჩევნო სიაში ხაჩიძესა და კუბლაშვილს

გვ.2

ვალერი გელბახიანი: „დეპუტატები ივანიშვილისთვის კაი ტიპობის დამტკიცებას ცდილობენ“



კახა კახიშვილი გენპროკურორი ვერ გახდება?

გელა ნიკოლაიშვილი: „კახიშვილს პროკურატურაში 6-წლიანი მუშაობის სტაჟი არ აქვს“

გვ.3

გვ.4

„არ შეიძლება მტრად მოხსენიება იმ მეგობრებისა, რომლებიც გაკრიტიკებენ“

ჯაბა ჯიშკარიანი: „სოციალური სტატუსის მოხსნა საბოტაჟის ნიშნებს შეიცავს“

გვ.4

გვ.3

ნუგზარ წიკლაური: „ნაციონალების ოფისებს გამგეობის თანამშრომლები არბევდნენ“

მამუკა გამყრელიძე ირაკლი ღარიბაშვილს გამონათქვამს უწუნებს

გვ.3

„რუსთავი 2-ს არავინ ებრძვის“

გვ.2

„მარგველაშვილს გარემოცვა ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს“

ნიკოლოზ მჭავანაძე: „პრეზიდენტმა გვითხრა, რომ ნაცმოძრაობის ინტერესებს არ გამოხატავს“

ISSN 1987-9385

„ხალხს ტყუილად არ ავურჩევივარ. მათ ანგარიშს ვაბარებ“

შეიყვანს თუ არა ივანიშვილი საარჩევნო სიაში ხაჩიძესა და კუბლაშვილს

ვალერი გელბახიანი: „დეპუტატები ივანიშვილისთვის კაი ტიპობის დამტკიცებას ცდილობენ“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ შეაქო ექსპრემიერმა ნაციონალებისგან განდგომილი ოთხეული, რა კრიტერიუმებით მოხდება საარჩევნო სიაში შეყვანილი ხალხის შერჩევა, რა შეცდომებს უშვებს „ქართული ოცნება“ მარგველაშვილის მიმართ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი ვალერი გელბახიანი ესაუბრება.

– ბიძინა ივანიშვილმა მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ ნაციონალებიდან წამოსული დეპუტატები: ხაჩიძე, კუბლაშვილი, ჯაფარიძე და მელაძე მის თვალში ამაღლდნენ. არის იმის ალბათობა, რომ ეს ოთხეული „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ვიხილოთ?

– არა მგონია, ისინი „ქართული ოცნების“ რიგებში ვიხილოთ. ბიძინა ივანიშვილმა ამ ადამიანების მიმართ გულწრფელად დააფიქსირა თავისი პოზიცია. მის განცხადებაში შემდეგი ტექსტი იკითხება: ნაციონალებში ყველა ცუდი კი არ არის, კარგებიც არიან და მაგალითად ეს ხალხი მოიყვანა.

– თუკი კარგებად მიიჩნევს, რატომ გამორიცხავთ, რომ ისინი „ქართული ოცნების“ სიაში მოხვდნენ?

– ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილს ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა. მათი სიაში შეყვანის შემთხვევაში გამოჩნდება, რომ ნაცმოძრაობა ისეთი ცუდი სულაც არ ყოფილა, როგორც ამას დღევანდელი ხელისუფლება წარმოაჩენს.

– ნაციონალების გაკეთილშობილებასთან ამ ოთხეულს რა კავშირი ექნება, მათ ხომ უარყვეს დედაპარტია?

– ეს ადამიანები არ ყოფილან პარტიის რიგითი წევრები, ისინი ნაცმოძრაობის გამორჩეული ლიდერები იყვნენ. იქიდან წამოსვლით, შესაძლოა, ამაღლდნენ, მაგრამ არც იქ ყოფნისას და არც იქიდან წამოსვლისას ამ ოთხეულს არ დაუგმია წინა ხელისუფლების უკანონო ქმედებები. საარჩევნო სიაში მათი შეყვანით ყოფილი პრემიერი საკუთარ გუნდს ვერაფერს შემატებს, სამაგიეროდ, დადასტურდება ჭორი, რომ ნაციონალები და „ქართული ოცნება“ ერთი გუნდია.

ბიძინა ივანიშვილმა აუცილებლად უნდა განაახლოს გუნდი, რადიკალურად უნდა მოხდეს საარჩევნო სიის შეცვლაც.

– ამ ცვლილებების აუცილებლობაზე თავად ექსპრემიერიც საუბრობს, მაგრამ აქვს ამის რესურსი ან არის იმის გარანტია, რომ გუნდის წევრების შერჩევისას არ შეცდება? თავად აღიარებს, რომ უკვე დაუშვა შეცდომა ამ მიმართულებით.

– ეს შეცდომა ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული. ივანიშვილი პოლიტიკაში არ ყოფილა, დიდ დროს ატარებდა საზღვარგარეთ და პირადი ურთიერთობები არავისთან ჰქონდა. პოლიტიკაში სპონტანურად მოვიდა და ყველას მოუწოდა ერთი მიზნისკენ გაერთიანება. ეს მიზანი მიშა სააკაშვილის შეცვლა გახლდათ. მაშინ ყოფილი პრემიერი პოლიტიკური ამოცანის წინაშე იდგა და არა – საკადრო.

როცა ადამიანი არც პოლიტიკურ ძალებს იცნობს და არც პოლიტიკოსებს, შეცდომებს დაუშვებს. ახლა კარგი გამოცდილება მიიღო და ნახა, რომ მთავარია კადრები. წესითა და რიგით, შეცდომები აღარ უნდა დაუშვას.

– სად უნდა იპოვოს ახალი ხალხი?

– ყურში ძალიან მომხვდა მისი ფრაზა, ვინც ინგლისური არ იცის, პარლამენტში ვერ მოხვდებაო. ეს იმას ნიშნავს, რომ საარჩევნო სიაში შეიყვანენ იმ ხალხს, რომლებსაც დასავლეთში აქვთ განათლება მიღებული. ასეთ ხალხს თავადაც იცნობს და მათთან კონტაქტი მის შვილებსაც აქვთ.

მის ახალ გუნდში რამდენიმე ძველი სახეც დარჩება, მაგრამ ძირითადი ნაწილი დასავლური განათლების მქონე ახალგაზრდებით დაკომპლექტდება.

– დასავლური განათლების მქონე ახალგაზრდები რა სარგებლობას მოუტანენ „ქართულ ოცნებას“?

– სარგებლობა არ ვიცი, მაგრამ არაფერს დაუშავებენ. განათლება ყველა ქვეყნისთვის დიდი კაპიტალია და ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ევროპიდან თუ ახალგაზრდებს ჩამოვიყვანთ და მათ ქართულ პოლიტიკას ახლებურად დავალაგებინებთ, ძალიან კარგი იქნება.

ბიძინა ივანიშვილის მიმართ ბევრი შენიშვნა მაქვს, მაგრამ ამ საკითხში ბოლომდე ვეთანხმები. ის საარჩევნო სიის დაკომპლექტებას კონსტრუქციულად მიუდგა. კარგი იქნებოდა, პრეზიდენტთანაც ასეთი კონსტრუქციული ყოფილიყო.

– თქვენი აზრით, რატომ აქვს მას ასეთი არაკონსტრუქციული დამოკიდებულება პრეზიდენტთან?

– ეს მათი პირადი საქმეა. ივანიშვილს სრული უფლება აქვს, მარგველაშვილის მიმართ თავისი უარყოფითი თუ დადებითი პოზიცია დააფიქსიროს, ოღონდ, კარგი იქნება, თუ არ დაივიწყებს, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტი და ქვეყნის სახეა.

ჩემი აზრით, ბოლო განცხადებებში ყოფილმა პრემიერმა გადააჭარბა. მეტსაც გეტყვით, მისი განცხადება დესტრუქციული იყო.

– რომელი განცხადება იყო დესტრუქციული?

– სადაც ის ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციიდან მარგველაშვილის გამოსახლებაზე საუბრობდა. ასეთი განცხადებების გაკეთება როგორ შეიძლება. არ მომეწონა, როცა ხაზი გაუსვა, მოსახლეობის ჭარბი ნდობა მაქვსო, მით უმეტეს, რომ ასე აღარ არის.

– თქვენი აზრით, ივანიშვილს ხალხი აღარ ენდობა?

– მოსახლეობის რაღაც ნაწილი, ალბათ, ენდობა, მაგრამ ეს ჭარბი ნდობა არ არის. 2012 წელთან შედარებით, მას ბევრად ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს. მას აღარც ძველი ნდობა აქვს და არც მთავრობაშია, მაგრამ სახელმწიფოზე პასუხისმგებელი პირია. აქედან გამომდინარე, მან პრეზიდენტის მიმართ ბევრად ფრთხილი განცხადებები უნდა გააკეთოს.

– საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტთან შეხვედრაზე ჯიუტად არ მიდის. თქვენ, როგორც იურისტი, როგორ შეაფასებდით ამ მოვლენას, გვაქვს თუ არა სახელისუფლებო კრიზისი?

– შექმნილი ვითარებისთვის სახელის მოძებნა მიჭირს. დეპუტატი რომ იმას იტყვის, პრეზიდენტს არ მოვუსმენო, ძალიან მძიმე სანახავია როგორც იურიდიული, ასევე სამოქალაქო თვალსაზრისით. ამას კი შემდეგი ახსნა აქვს – რადგან ივანიშვილი მარგველაშვილთან დაპირისპირებულია, დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტი უნდა გაილანძღოს, ჰგონიათ, რომ რაც მეტს გალანძღავენ პრეზიდენტს, მით უფრო კაი ტიპები გამოჩნდებიან ყოფილი პრემიერის თვალში.

– კაი ტიპობის დამტკიცებით ცდილობენ საარჩევნო სიაში ადგილის მოპოვებას?

– ალბათ, მაგრამ ტყუილად ირჯებიან. რაც არ უნდა გააკეთონ, ივანიშვილი მათ უმეტესობას საარჩევნო სიაში აღარ შეიყვანს.

ნიკოლოზ მჟავანაძე: „პრეზიდენტმა გვითხრა, რომ ნაცმოძრაობის ინტერესებს არ გამოხატავს“

„მარგველაშვილს გარემოცვა ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს“

შორენა მარსაგიშვილი

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კონსულტაციებს განაგრძობს. გუშინ, 29 ოქტომბერს, ის არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს შეხვდა

რას ფიქრობს პრეზიდენტი ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე, რა დამოკიდებულება აქვს მას ნაციონალებთან, ვინ ატრიალებს არასწორად მის ინფორმაციებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ შეხვედრის მონაწილე, „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

ნიკოლოზ მჟავანაძე:

– პრეზიდენტთან შეხვედრაზე 20-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია ვიყავით მიწვეული. სხვადასხვა თემაზე ვისაუბრეთ და მეც მომეცა საშუალება, ჩემი აზრი დამეფიქსირებინა. მას ვუსაყვედურე რუსთავი 2-თან დაკავშირებით გამოხატული პოზიციის გამო, ვკითხე, რატომ არ ამოიღო ხმა მაშინ, როცა მართლა თავს ესხმოდნენ ჟურნალისტებს.

რამდენიმე თვის წინ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ ზაზა დავითაიაზე ნაციონალებთან დაკავშირებულმა „თავისუფალი ზონის“ წევრებმა ორჯერ განახორციელეს თავდასხმა. ამაზე მაშინ საქმეც აღიძრა, მაგრამ მაშინ პრეზიდენტს განცხადება არ გაუკეთებია. ვკითხე, რატომ არ ჰქონდა ამაზე რეაქცია.

– რა გიპასუხათ პრეზიდენტმა?

– მისი განმარტება ძალიან საინტერესო იყო, მითხრა, ეს ამბავი გამოგვეპარა, ეს ჩვენი შეცდომაა და ამაზე სწორად მიგვითითეთო. ძალიან გამიკვირდა, როგორ შეიძლებოდა, პრეზიდენტს ჟურნალისტის გალახვის ამბავი გამორჩენოდა, მით უმეტეს, რომ ამ თემაზე პრემიერმა გააკეთა განცხადება. მისი პასუხიდან გავაკეთე ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნა – მარგველაშვილი გარემოცვას ინფორმაციულ ვაკუუმში ჰყავს.

– რატომ ფიქრობთ, რომ მარგველაშვილი ინფორმაციულ ვაკუუმშია?

– ყველა ინფორმაციას ის ვერ გაეცნობა და, რადგან ჟურნალისტის გალახვის შესახებ არაფერი იცოდა და არაფერი თქვა, გამოდის, რომ მისმა ადმინისტრაციამ დაუმალა ეს ინფორმაცია. სამაგიეროდ, კარგად აწვდიან ინფორმაციებს რუსთავი 2-თან დაკავშირებით, რომლის მიმართაც არასწორ განცხადებებს აკეთებს.

– რა არასწორი განცხადება გააკეთა რუსთავი 2-ის მიმართ?

– ამ ტელეკომპანიის დირექტორი ამბობს, ხელისუფლებას ჯოჯოხეთს მოვუწყობო, პირობას დებს, სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დავემორჩილებიო. მაინტერესებს, რატომ არ შეშფოთდა ამ განცხადებების გამო გიორგი მარგველაშვილი.

პრეზიდენტს ისიც ვკითხე, როცა საკონსტიტუციოს მოსამართლეების წინააღმდეგ გამართულ აქციას გმობს, რატომ არ აპროტესტებს სხვა მოსამართლეებზე თავდასხმებს? ვუთხარი, ასე რომ იქცევით, ამიტომაც ფიქრობენ, რომ ერთი კონკრეტული გუნდის ინტერესებს ემსახურებით.

– ეს ერთი გუნდი რომელია?

– ნაციონალური მოძრაობა.

– რა გიპასუხათ ამაზე პრეზიდენტმა?

– გვითხრა, რომ ის ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს არ გამოხატავს. მისი მტკიცებით, ის ყოფილ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული იყო, გაიხსენა, როგორ დაუპირისპირდა მიხეილ სააკაშვილს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სააკაშვილი კიდევ ერთი წელი იყო პრეზიდენტი. ის სულ ხელისუფლების კრიტიკაში იყო და, მარგველაშვილის თქმით, „ქართული ოცნებიდან“ პირველმა მან გააკრიტიკა ექსპრეზიდენტი ამის გამო. მისი თქმით, თანამდებობის პირი ხელისუფლების მიმართ ასეთ არამეგობრულ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს,

მისი განცხადებები არასწორად არის აღქმული.

– რას ნიშნავს, არასწორად არის აღქმული?

– მიაჩნია, რომ მის განცხადებებს ვიღაცები სხვანაირ ინტერპრეტაციას აძლევენ. მან ხელისუფლებას მოუწოდა, იზრუნონ იმაზე, რომ მისი განცხადებები ხალხმა და მათაც არასწორად არ გაიგონ. მარგველაშვილის განცხადებით, ის ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერი არ არის.

შეხვედრაზე ისიც გვითხრა, რომ მხარს უჭერს იმ პირების დასჯას, რომლებიც იმ საშინელი კადრების ამბავში არიან გარეული. მარგველაშვილი ამბობს, რომ არა მარტო წამებაში მონაწილე პირები უნდა დაისაჯონ, არამედ – მათი დამკვეთებიც.

ეს შეფასება ყველას მოგვეწონა. იმედია, ამის შესახებ კამერების წინაც ისაუბრებს.

– ახლა ეს კამერების წინ არ თქვა?

– შეხვედრა დახურულ ფორმატში წარიმართა. მოხარულნი ვართ, რომ ის იმ საშინელეგ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კახა კახიშვილი გენპროკურორი ვერ გახდება?

გელა ნიკოლაიშვილი: „კახიშვილს პროკურატურაში 6-წლიანი მუშაობის სტაჟი არ აქვს“

ნონა ცაბაძე

პროკურატურაში მიმდინარე პროცესებზე, გენპროკურორის დანიშვნის წესსა და სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე „ახალ თაობას“ იურისტი, უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი ესაუბრა.

იურისტი ამბობს, რომ 7 ათასზე მეტი ადამიანია გამოკითხული, რომლებიც ადასტურებენ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, მაგრამ ამის დადასტურება ხშირ შემთხვევაში ძალიან ძნელია.

– რატომ?

– ეს არის მხოლოდ სიტყვიერი აღიარება. ეს ხდებოდა ცალკე, მოსმენების გარეშე. დღეს ამის კვალიც არ არის დარჩენილი, ძნელია, დაუმტკიცო. ეს არის ობიექტური მიზეზი, რის გამოც ეს საქმეები ვერ მიდის სასამართლომდე და ლოგიკურ დასასრულამდე.

გელა ნიკოლაიშვილის თქმით, არის სუბიექტური ფაქტორიც, რომელიც პროკურორების არასათანადო კვალიფიკაციაში მდგომარეობს. შეუძლებელია, რამდენიმე ათეული ათასი ფაქტიდან მხოლოდ რამდენიმე ათეულ ფაქტზე დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი.

– ხომ არ იყო მიკერძოების ფაქტებიც?

– ერთ-ერთი მიზეზი ეგეც არის. იქ ბევრს არ აძლევს ხელს, რომ ის დანაშაულები გაიხსნას, რომლებიც მათაც უკავშირდება. პროკურატურაში ბევრი ისეთიც არის, რომლებიც ძველი ხელისუფლები დაბრუნებას ელოდებიან, მით უმეტეს, რომ დღეს ასე გააქტიურებული არიან.

– გააქტიურებული არიან, მაგრამ გამოუვათ რამე?

– აქტიურნი არიან ვირტუალურად, თორემ ძველი ხელისუფლება რომ ვერ დაბრუნდება და ის მხარდაჭერით არ სარგებლობს, ეს რუსთავი 2-ის პროცესმა და მათმა მოწოდებებმა ნათლად აჩვენა. მათმა ისტერიკულმა კივილმა ასეული კაციც არ შეკრიბა.

– გენერალური პროკურორის პოსტზე ირაკლი შოთაძისა და კახა კახიშვილის კანდიდატურები განიხილება. რას ფიქრობთ თქვენ, როგორც იურისტი?

– მე არ ვიტყოდი, რომ ეს ორი კანდიდატურა განიხილება ოფიციალურად. ჯერ არცერთი კანდიდატურა ოფიციალურად არ განიხილება. ეს მხოლოდ მოსაზრებებია. წულუკიანმა განაცხადა, რომ კანდიდატები საზოგადოებრივი ჯგუფებიდან შემოვიდნენ და ეს ამ ეტაპზე არაფერს ნიშნავს.

ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, კახიშვილი არ ექვემდებარება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც გენპროკურორს სჭირდება.

– ჩამონათვალში წერია, რომ ექვსი წლის მუშაობის სტაჟი უნდა ჰქონდეს პროკურატურაში. რამდენადაც ვიცი, კახიშვილს პროკურატურაში მუშაობის ამდენი ხნის სტაჟი არ აქვს, – აცხადებს უფლებადამცველი.

– ამჟამინდელმა პროკურორმა გიორგი ბადაშვილმა ვერ გაამართლა ხელისუფლების იმედები?

– თუ გავითვალისწინებთ ხალხის უკმაყოფილებას პროკურატურის მიმართ, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ხელისუფლებას ცვლილებები სჭირდება და, სავარაუდოდ, ამჟამინდელი მთავარი პროკურორის კანდიდატურა აღარ დასახელდება.

– ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ყველაზე ხშირად სწორედ მთავარი პროკურორი იცვლებოდა. რატომ ვერ მოხერხდა სათანადო კანდიდატის შერჩევა?

– როგორც ჩანს, საზოგადოების მოლოდინი, პირველ რიგში, უკავშირდებოდა პროკურატურის მუშაობას და აღმოჩნდა, რომ ვერცერთმა პროკურორმა ვერ გაამართლა ეს მოლოდინი.

– თქვენ საუბრისას რუსთავი 2 ახსენეთ. ხშირად გვესმის შეფასებები, რომ ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, ეს სასამართლო პროცესი არასამართლებრივ ჭრილში გადაიტანოს. ასეა?

– არათუ ცდილობს, არამედ უკვე დიდი ხანია, ეს პროცესი არასამართლებრივ ველშია გადატანილი. ეს მათი ტაქტიკაა. ნებისმიერი დაპატიმრების დროს, როდესაც პოლიტიკური თანამდებობის პირებს ეხებოდათ საქმე, არცერთხელ არ ყოფილა საუბარი სამართლებრივ მხარეებზე. ისინი გაურბიან სამართლებრივ ველში დარჩენას, მტკიცებულებების განხილვას. ეს მათთვის წამგებიანია.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ სასამართლოზე ზეწოლა ხდება.

– არცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ ხდება მსგავსი რამ, რომ სასამართლოზე იყოს ასეთი არნახული ზეწოლა, – აცხადებს გელა ნიკოლაიშვილი.

„რუსთავი 2-ს არავინ ებრძვის“

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველ დავით ლილუაშვილს აინტერესებს, რატომ ცდილობენ ნაციონალური მოძრაობისა და რიგი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რუსთავი 2-თან დაკავშირებული საქმე მიკერძოებულად შეაფასონ.

– რას გულისხმობთ?

– რუსთავი 2-თან დაკავშირებული პრობლემები უკავშირდება მედიამფლობელებს შორის დავას, რომელიც საქალაქო სასამართლოში ცივილიზებული ფორმით მიმდინარეობს, რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები კი ისეთ შეფასებებსა და ანალიზს აკეთებენ, თითქოს ხელისუფლება ცდილობს, დახუროს რუსთავი 2, როგორც ამას აცხადებს რუსთავი 2-ის ოდიოზური დირექტორი ნიკა გვარამია.

– ნიკა გვარამიამ ასევე გააკეთა განცხადება, რომ მათ მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლება ირღვევა.

– ჩვენ ვხედავთ, რომ სასამართლოზე მიდის მხარეებს შორის დავა, კამათი, შეჯიბრებითობის პრინციპი დაცულია და ორივე მხარეს შეუძლია, წარმოადგინოს თავისი არგუმენტები. გვარამიასა და რუსთავი 2-ის წარმომადგენლებს მუქ ფერებში უნდათ, შეაფასონ პროცესები, ყველაფერი დაუკავშირონ პოლიტიკასა და ხელისუფლებას, თითქოს ხელისუფლება ებრძვის მედიას, თითქოს რუსთავი 2 იხურება.

– სახელისუფლებო წრეების ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებები, რომ მათ არ მოსწონთ რუსთავი 2, ხომ არ არის გამოყენებული იმის სათქმელად, რომ ხელისუფლებაც ჩართულია ამ პროცესში?

– ბუნებრივია, მათ თავიანთი სტრატეგია და ტაქტიკა აქვთ შემუშავებული საიმისოდ, როგორ ავნონ ქვეყანასა და მის სახელმწიფოებრიობას.

– ამას რატომ ამბობთ?

– აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლება შეფასდეს ის განცხადება, რომელიც გვარამიამ გააკეთა? თითქოს მობილიზებული არიან სპეციალური რაზმები, თითქოს სასამართლო სასწრაფოდ მიიღებს გადაწყვეტილებას რუსთავი 2-ის დახურვის თაობაზე და მოუწოდა საზოგადოებას, ტელევიზიასთან დადგეს, რათა სიტყვის თავისუფლების ერთადერთი ბასტიონი დაიცვან.

ეს ხომ ტყუილია. ამას ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აკეთებს. მათთან ერთად ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მოქმედებენ და იმავე შეფასებებს აკეთებენ.

– სპეცრაზმის მზადყოფნა (რაზეც გვარამია საუბრობს) და შესვლა რუსთავი 2-ში გამორიცხულია?

– როდესაც მოსამართლე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, კანონის თანახმად, აღსრულების ბიუროს დაევალება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. სააღმსრულებლო სისტემას თავისი აღმასრულებლები ჰყავს. რა შუაშია აქ სპეცრაზმი?

ნიკოლოზ მჟავანაძე: „პრეზიდენტმა გვითხრა, რომ ნაცმოძრაობის ინტერესებს არ გამოხატავს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბებს გმობს, მაგრამ, კარგი იქნება, თუ იმავეს საჯაროდაც გააკეთებს. შეხვედრისას ჩვენ ვკითხეთ, იყო თუ არა ის, რასაც ნაციონალები აკეთებდნენ, ქართული ფაშიზმის გამოვლენა. მისი თქმით, თუ ნაციონალები ფაშისტები არიან, მაშინ ისინი არჩევნებზე არ უნდა გადიოდნენ.

საუბარი გვქონდა ამ დამნაშავე ძალის გაუქმებაზეც. პირადად მე მიმაჩნია, რომ როგორც ფაშისტური მოძრაობა აიკრძალა გერმანიაში, ასევე ნაცმოძრაობა უნდა აიკრძალოს საქართველოში.

– ამაზე რას ფიქრობს მარგველაშვილი?

– ჩვენ გვითხრა, რომ მას პარტიის გაუქმების უფლება არ აქვს და რაღაც ბუნდოვანი განცხადებები გააკეთა.

– კონკრეტულად რა თქვა?

– გაიხსენა ზვიად გამსახურდიას პერიოდი, როცა კომუნისტური პარტიის გაუქმების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება. მისი თქმით. კომპარტიის გაუქმების შემდეგ ქვეყანაში პროცესები ძალიან ცუდად წავიდა, მერე მხედრიონიც ახსენა და თქვა, ცუდი რამეები კი ჩაიდინეს, მაგრამ იქაც იყო ღირსეული ხალხიო. ამით პრეზიდენტმა ის თქვა, რომ არ იქნება კარგი პარტიის აკრძალვა.

მარგველაშვილმა გასულ კვირას ნაციონალების ოფისებზე მომხდარი თავდასხმებიც გაიხსენა და გვითხრა, ის ხმაურიანი განცხადება იმიტომ გავაკეთე, არ მინდოდა, პროცესები კონსტიტუციის ჩარჩოებიდან გასულიყოო.

– შეხვედრაზე გადატრიალების მცდელობაზეც თუ იყო საუბარი? რადგან ამაზე გამოძიება დაიწყო, პრეზიდენტიც იქნება საქმის კურსში.

– ამ თემაზეც ვისაუბრეთ. პრეზიდენტმა თქვა, გამოძიებაა დაწყებული და იმან უნდა გაარკვიოსო. მისი აზრით, რადგან გამოძიება დაიწყო, ალბათ, რაღაც ინფორმაციები არსებობს.

– შეხვედრით კმაყოფილი დარჩით?

– უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ, მიხარია, რომ პრეზიდენტს ჩვენი მოსაზრებები გავაცანი. ამ შეხვედრიდან ერთი მნიშვნელოვანი დასკვნაც გავაკეთე. საუბარია მის ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნაზე, რომელზეც ზემოთაც გესაუბრეთ. მისი საუბრიდან ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, მაგრამ ბოლომდე არ მჯერა, რომ მარგველაშვილი პრესას თავად არ ეცნობა.

ნუგზარ წიკლაური: „ნაციონალების ოფისებს გამგეობის თანამშრომლები არბევდნენ“

რა მტკიცებულებები აქვს ნაცმოძრაობას

შორენა მარსაგიშვილი

გასული კვირა ნაციონალური მოძრაობის ოფისების აწიოკების კვირეულად შეიძლება ჩაითვალოს. დროის ამ მონაკვეთში საქართველოს 20-მდე ქალაქსა და რაიონში ყოფილ ხელისუფლებას ოფისები დაურბიეს. ნაციონალებს ზოგან კვერცხები ესროლეს, ზოგან – ცოცხები, ზოგან კიდევ კარები აუჭედეს. რამდენიმე რეგიონში ნაცმოძის ოფისები წითლად გადაღებეს.

ოფისთა რბევაში ნაციონალები მეოცნებეებს ადანაშაულებენ, მეოცნებეები კი თითს ნაციონალებისკენ იშვერენ და ამბობენ, რომ ოფისების დარბევა მათი სტილია.

2 დღის წინ მთავრობის მეთაური ნაციონალთა ოფისების დარბევის გამოძიებით დაინტერესდა.

ნაციონალური მოძრაობის რეგიონული მდივანი, დეპუტატი ნუგზარ წიკლაური აცხადებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა ძალიან კარგად იცის იმათი ვინაობა, ვინც ნაცმოძის ოფისებს არბევდა.

დეპუტატის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის ოფისებზე თავდასხმაში გამგეობებისა და საკრებულოების თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ.

წიკლაურმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ოფისების დარბევის ამსახველი ფოტომასალა გაავრცელა.

მისი თქმით, პარტიას აქვს შესაბამისი ვიდეო და ფოტომასალა, რომლებიც ამტკიცებს, რომ პარტიის ოფისებს მმართველი გუნდის წარმომადგენლები არბევდნენ.

– მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საზოგადოებამ და სამოქალაქო სექტორმა გამოთქვეს მტკიცე პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ტიპის თავდასხმები სრულიად მიუღებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის, 28 ოქტომბერს ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ეს ადამიანები უცნობი პირები არიან და შინაგან საქმეთა მინისტრს მათი ვინაობის დადგენა მოსთხოვა, – აცხადებს წიკლაური.

მისი თქმით, მთავრობის მეთაურის განცხადება ფარსია, რადგანაც მათ კარგად იციან, თუ ვინ არბევდა ნაციონალების ოფისებს.

ნუგზარ წიკლაური:

– რეალობა სრულიად სხვაგვარია. ძირითადად ეს ადამიანები არიან საკრებულოს წევრები, გამგეობების თანამშრომლები, გამგებლები და მათი მოადგილეები, მაგალითად, წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ემზარ გელოვანი, თეთრიწყაროში საჯარო მოხელეები, რწმუნებულები, საკრებულოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, გურჯაანში საკრებულოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ ოფისების დარბევაში და ეს არის მცირე ჩამონათვალი. ჩვენ გვაქვს ფოტო და ვიდეომასალა. ასე რომ, საუბარი ღარიბაშვილის მხრიდან, თითქოს მისთვის უცნობია, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, ტყუილია. სინამდვილეში ყველა ეს თავდასხმა ორგანიზებულია ხელისუფლების მიერ, ამ თავდასხმის მეთაური კი ირაკლი ღარიბაშვილია.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

სააკაშვილი ბოკერიას: „უნდა იყოს ცხვირ-პირის დანაყვები და, თუ გაისვრიან, გაისროლონ“

გიგა ბოკერია: „უკანონო მოსმენები გრძელდება“

გუშინ, 29 ოქტომბერს, უკრაინულმა გამოცემამ გაავრცელა ჩანაწერი, სადაც მითითებულია, რომ აუდიოჩანაწერში ასახულია მიხეილ სააკაშვილისა და გიგა ბოკერიას საუბარი.

აუდიოჩანაწერის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი ბოკერიას ეუბნება, უთხრას გვარამიას, რომ 22-ში სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას და 22-შივე აღასრულებენ და შევლენ რუსთავი 2-ში.

მიხეილ სააკაშვილი: ეს რომ არ დაუშვას, ხვალიდან უნდა დაიწყოს მშენებლობა – რკინის კონსტრუქციები მოაწყოს მანდ და ბევრი ბარიკადი უნდა გააკეთოს, თავისი დაცვით, გამაგრებებით, „ბოევიკებით“, რომ სროლის გარეშე ვერ შევიდნენ.

გიგა ბოკერია: ბოევიკები მაგათ არ ჰყავთ, მაგრამ...

სააკაშვილი: რა შუაშია, ბარიკადები უნდა დააყენოს.

ბოკერია: მაგისთვის ჩვენ ვემზადებით.... დღეს შევხედეთ, როგორ არის, დიდი სივრცეა ძაან, მაგრამ მანდ პრობლემა ის არის, რომ ორი ადგილია, სადაც უნდა შევიდნენ. გათიშვა თუ უნდათ, დელისში შეუძლიათ შევიდნენ.

სააკაშვილი: სად? დელისში?

ბოკერია: ხო, სიგნალი იქედან მოდის.

სააკაშვილი: მერე რა, ჯობია, სიგნალი გათიშონ მანდ, რუსთავი არსებობდეს ინტერნეტში, იმაში, ამაში.

ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ „დელისის“ გამაგრება ძალიან ადვილია, ბოკერია კი ეუბნება, რომ ბევრი ხალხის დაყენებაა რთული.

მიხეილ სააკაშვილი კი ისევ რკინის კონსტრუქციების აგებაზე საუბრობს.

ბოკერია: ხო მაგრამ, მანდ ადგილი გახსოვს, როგორია? ერთი რკინის კონსტრუქცია, ეგრე რომ ვერ შეაღწიონ, არ არსებობს. მანდ უნდა იყოს, რომ უნდა ჯახი მოხდეს, ანუ მაგრად მოგერიონ, რომ აიღონ, თორე რკინის კონსტრუქცია, რომ ვერ შევიდეს სპეციალური დანიშნულების რაზმი, ეგეთი მე ასე უცებ რაც წარმოვიდგინე, იმხელა სივრცეა...

სააკაშვილი: აშენებადია, გიგა, ახლა რას მიყვები. თუ ააშენებთ, აშენებადია.

ამის შემდეგ სააკაშვილი უცხოელების რეაქციით ინტერესდება.

სააკაშვილი: ეს იდიოტი უცხოელები რას შვებიან?

ბოკერია: ხვალ რაღაც დიდ განცხადებას აკეთებს სახელმწიფო დეპარტამენტი ამ თემაზე.

სააკაშვილი: დიდ განცხადებას, თუ პროსტა კითხავენ სპიკერს და რაღაცას წაიკითხავს.

ბოკერია: ამათ შეხვდნენ, დაუძახეს და უთხრეს, რომ მოდით, უნდა გადმოგცეთ განცხადება. არ ვიცი, ვნახოთ რა. ეგ ამბავი, რაც ხდება, ჩვენ ხელში პირდაპირ არ არის და არ ვიცი გამოხმაურება, პერსონალურად რას გვეტყვის ქალბატონი ტორია. ვნახოთ, კიდევ რამეს აპირებენ თუ არა დამატებით, მაგრამ მაგისგან დამოუკიდებლად ვმოქმედებთ ჩვენ ადგილზე. შენ იქ ხომ იქნები და გეტყვით დამატებით რაღაცეებს კიდე, ტელეფონით არ მინდა. როდის ჩამოდიხარ შენ?

სააკაშვილი: მე ჩამოვდივარ 3 საათით და უკან მოვდივართ.

ბოკერია: ვიცი, მაგრამ ხომ გექნება ერთი ნახევარი საათი მაინც.....

ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ჟურნალისტებზე საუბრობს და ამბობს, რომ დაბნეულები არიან ახლა ჟურნალისტები, მაგრამ უნდა გაამხნეოს გვარამიამო.

სააკაშვილი: მანამდე უნდა ააშენოთ რკინის კონსტრუქცია, ფიზიკური. მე ვუთხარი, ნიკა, შეიძლება ატყდეს სროლა, მაგისთვისაც მზად უნდა იყო. ვაიმე, ვაიმეო. ეგრეა. საჭიროა ახლა ფიზიკური დაპირისპირება, უნდა ვაჩვენოთ, რომ ეს შეგვიძლია, სხვანაირად ვერ მივიქცევთ ყურადღებას.

ბოკერია: ყურადღებაზე არ არის, ბრძოლისუნარიანობა უნდა ვაჩვენოთ.

სააკაშვილი: უნდა იყოს ცხვირ-პირის დანაყვები და, თუ გაისვრიან, გაისროლონ, რა ვქნათ.

* * *

გუშინ გავრცელებულ აუდიომასალას რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ფეისბუქში გამოეხმაურა.

– როგორ იყო, არ გისმენს მთავრობა, მოგელანდა ყველაფერიო? არ მოსულა არავინ, შენ მიიგონეო? big brother is watching/listening/etc us smile emoticon. პს ვაიბერია ეს, btw, – წერს ნიკა გვარამია.

* * *

გუშინვე კომენტარი გიგა ბოკერიამაც გააკეთა.

როგორც გიგა ბოკერიამ ტელეიმედთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, ჩანაწერი ორ რამეს ადასტურებს.

– ერთი იმას, რომ უკანონო მოსმენები გრძელდება და ძალიან თავხედურად, მერე ამას ჩვენ გვაჩვენებენ. მეორე, მე მგონი, კონკრეტული მუქარაც იყო ნიკა გვარამიას მიმართ, რომ გამოგიქვეყნებთ სააკაშვილთან საუბარსო ანუ ეს ადასტურებს იმ ამბავსაც, რომ ის შიკრიკი, ვინც გააგზავნა მთავრობამ იმ მუქარებით გვარამიასთან, ნამდვილი შიკრიკი იყო მთავრობის, იმიტომ, რომ ეს კონკრეტული მუქარა შეასრულა, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

მისი თქმით, გამოძიებამ ისეთი აბსურდული ფაბრიკაცია გამოიყენა გამოძიების დასაწყებად, რომ ამ საუბარს გამოიყენებს თუ არა, ახლა ამის პროგნოზირება რთულია.

– თუმცა, ხაზს ვუსვამ მთავარ საკითხს, რომ მე პირადად ჩემს თანაგუნდელებს ახალი სათქმელი ამ თვალსაზრისით არაფერი არ გვაქვს, იმიტომ, რომ ეს გახლავთ ჩვენი საჯარო პოზიცია, არაერთხელ ნათქვამი მედიისთვის, რომ ჩვენთვის წითელი ხაზი არის რუსთავი 2-ის ჩახშობის მცდელობა და ამ მცდელობას ჩვენ აღვუდგებით ფიზიკურად წინ. ჩვენში არ ვგულისხმობ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიას, ვგულისხმობ საზოგადოების სერიოზულ ნაწილს, – განაცხადა ბოკერიამ.

მისი თქმით, ეს არის მყარი პოზიცია, რომელიც აუცილებლად განხორციელდება.

„არ შეიძლება მტრად მოხსენიება იმ მეგობრებისა, რომლებიც გაკრიტიკებენ“

მამუკა გამყრელიძე ირაკლი ღარიბაშვილს გამონათქვამს უწუნებს

ნონა ცაბაძე

ყოფილი ელჩები, დიპლომატიური კლუბის წევრები ხელისუფლებას განცხადებით მიმართავენ და პრემიერს მეტი კორექტულობისკენ მოუწოდებენ.

როგორც მამუკა გამყრელიძე აღნიშნავს, მათ ამ განცხადების გაკეთებისკენ პრემიერ ღარიბაშვილმა უბიძგა, რომელიც ამბობს, რომ თუ ის მართალია, არავის შენიშვნას არ გაიზიარებს, არც მტრის და არც – მეგობრის.

მამუკა გამყრელიძე:

– სამწუხარო ფაქტებთან გვაქვს საქმე, ხდება საელჩოების პოლიტიზება. ეს ახალი არ არის და არც პირველი შემთხვევაა. 2012 წლის ბოლოსაც იყო ასეთი მცდელობა. მაშინ საელჩოებში წერილები დაიგზავნა.

– რას გულისხმობთ?

– პოლიტიკური განცხადებების კეთება ელჩებისთვის სრულიად მიუღებელია. საკუთარ მაგალითზე შემიძლია გითხრათ, მე რა წერილიც მივიღე 2012 წლის ბოლოს.

– რა წერილი მიიღეთ?

– მე, როგორც ელჩი, უნდა მივსულიყავი სხვადასხვა ორგანიზაციაში, მათ შორის – საგარეო საქმეთა სამინისტროში, სხვა სამინისტროებშიც და იქ ამეხსნა, რამდენად სისხლიან 9 წელიწადში ვიმყოფებოდით და ახლა როგორი კარგი მთავრობა გვყავს. ეს ჩვენთვის სრულიად მიუღებელი იყო მაშინ!

– რატომ იყო მიუღებელი?

– იმიტომ, რომ არ შეიძლება, საკუთარ ქვეყანაზე ელჩმა უარყოფით კონტექსტში ილაპარაკოს. საერთოდ, საელჩოების პოლიტიზება მიუღებელია! ელჩი გახლავთ დამცველი შენი ქვეყნის ინტერესებისა. ის საერთაშორისო კუთხით ყოველთვის ქვეყნის ადვოკატის როლში გამოდის. საელჩოებს პოლიტიკური განცხადებების კეთებას დღესაც აიძულებენ.

როგორც გამყრელიძე აცხადებს, საელჩოებს პრემიერის განცხადების სხვანაირი ტექსტის თარგმანი მიაწოდეს და ამ სხვა თარგმანის გავრცელება დაავალეს.

– სხვანაირი როგორი, შელამაზებული?

– დიახ. რატომ ავიწყდებათ, რომ ყველა ქვეყანას თავისი საელჩო აქვს ჩვენს ქვეყანაში და მათ უფრო მალე მისდით ეს ინფორმაცია, ვიდრე აქედან ნათარგმნი და გადაკეთებული ტექსტი მიაღწევს. მათ ძალიან კარგად იციან, რა ტექსტიც იყო და რაზეც იყო საუბარი.

ჩვენი საელჩოები რომ ავრცელებენ პრემიერის იმავე სიტყვებს, ოღონდ სხვანაირად გადათარგმნილს, ეს უხერხულია.

მამუკა გამყრელიძის აზრით, პრემიერ-მინისტრის განცხადება არადიპლომატიურია.

– არ შეიძლება მტრად მოხსენიება იმ მეგობრებისა, რომლებიც გაკრიტიკებენ. კრიტიკა არ ნიშნავს მტრობას. ეს ამ ხელისუფლების დამახასიათებელი თვისებაა. ეს წინა პრემიერსაც ეხებოდა და ამ პრემიერსაც. ისინი კრიტიკას ვერ იტანენ, იმ წუთშივე აგრესიულები ხდებიან.

– რა ასახვას ჰპოვებს საერთაშორისო ასპარეზზე პრემიერის ეს განცხადებები, შეგვილახავს იმიჯს?

– იმიჯის შელახვა უკვე მიმდინარეობს 2012 წლიდან. საქართველოს ცივილიზებული სამყაროდან მეთოდური დაცილება ხდება. ეს არ არის პირველი შემთხვევა. მსგავსი ფაქტი არაერთხელ ყოფილა.

– დიპლომატია არ ესმით თუ მიზანმიმართული კამპანიაა?

– თუ ვიტყვით, რომ ეს მიზანმიმართული კამპანიაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ქვეყნის ღალატში დავადანაშაულოთ, მაგრამ, როდესაც ერთხელ, ორჯერ და სამჯერ მოხდება, ეს აღარ არის შემთხვევითობა. ეს უკვე მრავალგზის მოხდა, თუნდაც იმავე რუსთავი 2-ზე თავდასხმა ძალიან მძიმე მომენტია. ეს საქართველოს იმიჯზე ცუდად აისახება.

ჯაბა ჯიშკარიანი: „სოციალური სტატუსის მოხსნა საბოტაჟის ნიშნებს შეიცავს“

„ხალხს ტყუილად არ ავურჩევივარ. მათ ანგარიშს ვაბარებ“

ნათია ხურცილავა

დედაქალაქის საკრებულოს „ქართული ოცნების“ მთაწმინდის მაჟორიტარმა დეპუტატმა ჯაბა ჯიშკარიანმა თავის ამომრჩეველს ერთი წლის მუშაობის ანგარიში ჩააბარა. საკრებულოში გამართულ შეხვედრას მთაწმინდის გამგებელი გელა არჩვაძე და მთაწმინდის მოსახლეობა ესწრებოდნენ.

ჯაბა ჯიშკარიანი:

– ყველა მიმდინარე და უკვე განხორციელებული პროექტისა თუ სამუშაოს შესახებ მთაწმინდელებს დეტალური ინფორმაცია მივაწოდეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ მომავალი წლის ბიუჯეტზე ვისაუბრეთ.

– მომავალი წლის ბიუჯეტში პრიორიტეტი რა იქნება?

– პრიორიტეტებს თავად ეს ადამიანები განსაზღვრავენ, მათი მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამ მოთხოვნებს განცხადებებით, მათთან უშუალო საუბრებიდან გამომდინარე დავგეგმავთ. ადამიანებს სოციალური დახმარება უფრო დასჭირდებათ თუ საკანალიზაციო სისტემის გამართვა, ამას თავად გვეტყვიან და ისე მივიღებთ გადაწყვეტილებას.

– ეს ახალი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის უარის თქმას ნიშნავს?

– არავითარ შემთხვევაში. მთაწმინდაზე რამდენიმე ახალი ქუჩა და პროექტი გაკეთდება, ასევე მოსახლეობას შევპირდით, რომ ადგილზე მივალთ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს იქვე დავგეგმავთ მათი მონაწილეობით.

– ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა რა არის?

– მთაწმინდა ავარიული სახლებით არის სავსე, სავალალო მდგომარეობაშია მეტი ნაწილი, სოციალური ფონი მძიმეა. ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც მე მათგან მესმის, სოციალური სტატუსის მოხსნას უკავშირდება. ეს ამ ადამიანებისთვის საბოტაჟის ნიშნებს შეიცავს. მათ სოციალური მდგომარეობა არ შესცვლიათ, მაგრამ ქულები ან

მოემატათ, ან საერთოდ სტატუსი მოუხსნეს. ეს ეჭვს ბადებს.

– რის ეჭვს?

– იმის, რომ ეს არის ძველი სისტემის გადმონაშთი, რომელიც ჩვენი ხელისუფლების პირობებში არ შეცვლილა. ამ საკითხზე ძირეულ ცვლილებებს ვაპირებთ. ამ ეტაპზე ამაზე საჯაროდ არ ვისაუბრებ, მაგრამ ძალიან მალე ამაზე ვისაუბრებ და გამოვავლენთ ყველა იმ ადამიანს, რომლებიც კანონისა და ამ გაჭირვებული ხალხის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.

– მოქალაქეებს ტელეფონზე პასუხობთ?

– ჩვენი მთავარი დაპირება იყო, რომ ადამიანებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის პრობლემა არ ექნებოდათ. ყველა ზარს ვპასუხობ და ეს შეგიძლიათ, მთაწმინდელებთან გადაამოწმოთ. ნებისმიერ სამსახურში მივყვები მათ და ადგილზე ვუგვარებ პრობლემას, რასაკვირველია, თუ ჩემს შესაძლებლობებს არ აღემატება. წინა ხელისუფლების დროს დეპუტატები სანთლით იყვნენ საძებარი. მათ მართლა არ იცნობდა საზოგადოება.

– ენდიაის ბოლო კვლევებით, არც თქვენ გიცნობენ.

– ერთი ადამიანი მომიყვანოს ენდიაიმ, რომელიც მე საქართველოში არ მიცნობს, ჩემი აქტივობიდან გამომდინარე.

– თქვენ – კი, მაგრამ თქვენს კოლეგებს იცნობს ხალხი?

– ამის არგუმენტად გეტყვით, რომ სულ არაფერი რომ არ გაეკეთებინათ სხვა დეპუტატებს, მხოლოდ ის პიარკამპანია ეყოფოდა, რომელიც მათ ჩაატარეს, რომ მოსახლეობაში ცნობადობა ჰქონდეთ. ოთხშაბათობით ყველა დეპუტატი კანონით არის ვალდებული, თავის ამომრჩეველს, მოქალაქეებს შეხვდეს, ასევე შეიძლება, მათი აქტივობა დაითვალოს ქუჩებსა და ეზოებში სიარულის მიხედვითაც.

* * *

ჩვენ მთაწმინდის რამდენიმე მცხოვრებს გავესაუბრეთ.

მზია გულედანი:

– ოქროყანაში ვცხოვრობ. ძალიან ხშირად მოდის ჩვენთან ჯაბა ჯიშკარიანი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ჩვენი დეპუტატი დღეს ჯაბა ჯიშკარიანია.

– ასე მოგწონთ?

– ჩემთვის მთავარი ის არის, რომ როცა არ უნდა მივმართოთ ჩვენს დეპუტატს, ის მუდმივად მზად არის, დაგვეხმაროს. თქვენ წარმოიდგინეთ, ტელეფონზე ჩვენს ზარებს პასუხობს და იწერს ჩვენს გაჭირვებას, რომ მერე გვიშუამდგომლოს ხან ვისთან და ხან ვისთან.

– იქნებ მხოლოდ თქვენს ზარებს პასუხობს?

– რას ბრძანებთ, ჩემი მეზობლებიც ზუსტად იმავეს გეტყვიან. მოსახლეობას ხვდება. თუ კანონმდებლობის მიღმაა ჩვენი პრობლემა, რომელიც ბატონ ჯაბამდე მიგვაქვს, ამას პირდაპირ გვეუბნება, მაგრამ მოქალაქეები მაინც კმაყოფილნი გამოდიან. მე უკმაყოფილო ადამიანი მის ბიუროსთან არ მინახავს.

– რა პრობლემა მოგიგვარათ დეპუტატმა?

– ოპერაციის დაფინანსებასთან დაკავშირებით. ნებისმიერ პრობლემაზე შეგვიძლია, მივმართოთ, მაგრამ ტყუილ შუამდგომლობას ის არსად გაგვიწევს. ეს ყველამ იცის.

შორენა ჟღენტი:

– მე ბერიძის ქუჩაზე ვცხოვრობ. ეს გახლავთ დევნილთა ჩასახლება. დღის ნებისმიერ დროს შემიძლია, ბატონ ჯაბას დავურეკო, ველაპარაკო ჩემს პრობლემებზე, იმ სახლის პრობლემებზე, სადაც ვცხოვრობთ და შეუძლია, საათობით მოგვისმინოს.

– ძირითადად რა პრობლემა გაქვთ?

– 6 ოჯახი სოციალურად დაუცველია. მათ არაერთგზის მიმართეს ბატონ ჯაბას შუამდგომლობისთვის. 6 ოჯახიდან ყველას არაერთი სოციალური დახმარება აქვს მიღებული. ეს ყველაფერი ჯაბა ჯიშკარიანის დახმარებითა და შუამდგომლობით მოხდა კანონის შესაძლებლობის ფარგლებში.

– გზის, გაუმართავი კოლექტორების, ავარიული სახლების პრობლემები რამდენად გვარდება?

– მთაწმინდაზე არ არსებობს სახლი, რომელიც ავარიული არ იყოს. მომდევნო წლის ბიუჯეტში სახლის კაპიტალური გამაგრებაა ჩასმული. შენობა ავარიულია და კაპიტალური გამაგრება უნდა გაკეთდეს. ეს თემა უკვე გავიარეთ. ბატონმა ჯაბამ წაგვიყვანა სოზარ სუბართან, დევნილთა მინისტრთან.

შორენა ჟღენტი ამბობს, რომ თანხის ერთ ნაწილს გამგეობა გაიღებს, მეორე ნაწილს კი – დევნილთა სამინისტრო, რადგან დევნილთა ჩასახლებაზეა საუბარი.

– სამწუხაროდ, მთავრობის გადაწყვეტილებით, როგორც ბატონმა სოზარმა გვითხრა, 1 ნოემბრიდან თანადაფინანსება წყდება. იანვრიდან რაღაც გამოსავალი უნდა ვიპოვოთო, დაგვპირდა ბატონი სოზარი. იმედი გვაქვს, ეს პრობლემა მოგვარდება და თანადაფინანსება არ შეწყდება, – ამბობს შორენა ჟღენტი.

დავით თარხან-მოურავი: „თუ არჩევნები გაყალბდა, ქუჩაში გამოვალთ და ხელისუფლებას ვაიძულებთ, წავიდეს“

31 ოქტომბერს შუალედური არჩევნებია

მარიამ მჭედლიშვილი

31 ოქტომბერს დანიშნულ შუალედურ არჩევნებში ერთმანეთს ძირითადად მხოლოდ ორი ძალა უპირისპირდება – მმართველი კოალიცია და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი.

ამ დღეს უნდა აირჩნენ მაჟორიტარები საგარეჯოსა და მარტვილში, ასევე წევრები ზოგიერთ საკრებულოში.

არჩევნებში მონაწილეობისათვის ოთხი სუბიექტია რეგისტრირებული. ესენია: ბლოკი „ქართული ოცნება“, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ასევე პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა“.

ნაცმოძრაობა შუალედური არჩევნებისათვის კი დარეგისტრირდა, მაგრამ კანდიდატები არ წამოუყენებია. ნაციონალური მოძრაობა შეუერთდა პოლიტიკური პარტიების მიერ გამოცხადებულ ბოიკოტს. პარტიებმა ბოიკოტი იმ საბაბით გამოაცხადეს, რომ „ოცნება“ უარს ამბობს ძირეულ საარჩევნო ცვლილებებზე. ექსპერტების აზრით კი ამ პარტიებს გამარჯვების შანსი არ ჰქონდათ და ბრძოლას იმიტომ გამოეთიშნენ. ზოგმა პარტიამ 31 ოქტომბრის არჩევნებში ბოიკოტის გარეშე არ მიიღო მონაწილეობა.

ორი მთავარი კონკურენტი ძალის კანდიდატები მარტვილშიც არიან წამოყენებული, მაგრამ მთავარი და ხმაურიანი ბრძოლა მაინც საგარეჯოს უკავშირდება. იქ ერთმანეთის მეტოქეები არიან მმართველი კოალიციის წარმომადგენელი რესპუბლიკური პარტიიდან თამარ ხიდაშელი და საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი.

საგარეჯოში საარჩევნო კამპანია არატრადიციულად დაიწყო. გავრცელდა რესპუბლიკელების განცხადება, რომელშიც უარყოფდნენ გავრცელებულ ხმებს, რომ ირმა ინაშვილს ხელისუფლება უჭერს მხარს. წერილის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ საგარეჯოში დეზინფორმაცია ვრცელდება. თავის მხრივ, პატრიოტთა ალიანსმა ამ განცხადებით გაკვირვება გამოხატა. ინაშვილთან ყოველგვარი კავშირი ამ დღეებში თავის ტელეინტერვიუში უარყო ბიძინა ივანიშვილმაც.

პატრიოტთა ალიანსის ხმაურიანი პროტესტი გამოიწვია საგარეჯოში თანამდებობის პირების გახშირებულმა ვიზიტებმა. ეს მოხელეები მოუწოდებენ მოსახლეობას, ხმა მისცენ თამარ ხიდაშელს. ოპოზიციურმა პარტიამ გააპროტესტა საარჩევნო რესურსის გამოყენება, ასევე მოსახლეობის დაშინება. ამ პროტესტს მოჰყვა რაიონის პოლიციის უფროსის თანამდებობიდან გადაყენება, თუმცა მაღალჩინოსნების აქტიურობა გაგრძელდა.

კოლეგა ამომრჩევლებთან ერთი შეხვედრა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომაც გამართა. კოალიციის წევრების მტკიცებით, ირმა ინაშვილი ამ შეხვედრაზე ძალით მიიჭრა. თავად ინაშვილი განმარტავს, რომ დავით სერგეენკო მისი მინისტრიც არის და მისთვის საგარეჯოელების სათხოვარ-საჩივრები უნდა გადაეცა.

თუ არ შეწყდება ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება, ირმა ინაშვილი ქუჩის აქციებითაც დაიმუქრა. მას შემდეგ თამარ ხიდაშელის მხარდასაჭერად კახეთში თავად პრემიერი ღარიბაშვილი და ვიცეპრემიერი კალაძეც ჩავიდნენ.

პატრიოტთა ალიანსში დარწმუნებული არიან, რომ ეს რესპუბლიკელების მხრიდან შანტაჟის შედეგია.

ირმა ინაშვილი ამბობს, რომ მის მიმართ ცილისმწამებლური კამპანიაც მიმდინარეობს. კერძოდ, მას აბრალებენ მუსლიმანების მიმართ შეუწყნარებლობას, რაც ტყუილია. იგი განმარტავს, რომ ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენებას იმიტომ ეწინააღმდეგებოდა, რომ ამას თურქეთის მთავრობა აკეთებდა.

საგარეჯოში კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი მოხდა – სპეციალურ სიაში შეიყვანეს 500-ზე მეტი სამხედრო. მანამდე მათი რაოდენობა 25 იყო. ოპოზიცია ირწმუნება, რომ სპეცსია თამარ ხიდაშელისათვის ხმების მოსამატებლად გაკეთდა.

პატრიოტთა ალიანსი კი ქუჩის აქციებზე ისევ საუბრობს.

– თუ არჩევნები გაყალბდა, ქუჩაში გამოვალთ და ხელისუფლებას ვაიძულებთ, წავიდეს, – აცხადებს პარტიის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი.

ერგნეთში 59-ე შეხვედრა გაიმართა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ირაკლი ბერაია და დეპარტამენტის წარმომადგენლები გორის რაიონის სოფელ ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის რიგით 59-ე შეხვედრას დაესწრნენ.შეხვედრაზე საუბარი ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე უკანონოდ აღმართული მავთულხლართებით, ღობეებითა და „საზღვრის აღმნიშვნელი“ ბანერებით შექმნილ ვითარებას შეეხო, რომელიც ოკუპაციის ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას რიგ პრობლემებს უქმნის.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან საუბარი ასევე შეეხო მიმდინარე წლის ივლისში სოფელ წითელუბნის მიმდებარე ტერიტორიიდან ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო წარმომადგენლების მიერ ჩამოხსნილი საქართველოს დროშის დაბრუნების საკითხს.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს 2015 წლის დასაწყისში გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი დავით ბაშარულისა და 2008 წელს უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული გრიგოლ ნალბანდოვის საქმეები.

ჯარჯი აქიმიძე: „გვითხრეს, ან რუსთავი 2 მოგვეცით, ან ყველაფერს დაკარგავთო!“

„ქიბარ ხალვაში ჩემთვის იმ გაუგებრობაში ერთადერთი ნათელი წერტილი იყო“

„დროა, პროკურატურამ რუსთავი 2-ის საქმის მასალები გამოფინოს“

– რუსთავი 2 დღეს არის პირადად მიშას ტელევიზია, მის საკუთრებაში მყოფი პარტიული ტელევიზია, რომელიც საზრდოობს ძირითადად მათი ფულით, ასრულებს მათ ამოცანებს, ოღონდაც, დღეს ალბათ უკვე ცუდად ასრულებს ამ ამოცანებს, რადგან, თუკი ადრე ცდილობდნენ, რომ ეს ნაცრისფერი ძაფით მაინც ყოფილიყო ნაკერი, ეს ძაფი გაღიავდა და ალაგ-ალაგ გაირღვა კიდეც, – აცხადებს „აიპრესთან“ საუბრისას რუსთავი 2-ის ერთ-ერთი ყოფილი მფლობელი ჯარჯი აქიმიძე.

ჯარჯი აქიმიძე ის ადამიანია, რომელიც დავით დვალთან ერთად 2004 წლამდე რუსთავი 2-ის საკონტროლო პაკეტს ფლობდა, 2004 წელს კი ტელეკომპანიის წილის 60% დათმეს.

წილების გადაფორმება მათი ნების საწინააღმდეგოდ მოხდა მიხეილ სააკაშვილის დავალებით. მოლაპარაკებები კი ადეიშვილთან და მერაბიშვილთან მიმდინარეობდა.

გთავაზობთ ინტერვიუს ჯარჯი აქიმიძესთან:

– თქვენი და დავით დვალის ისტორია რუსთავი 2-თან დაკავშირებით გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე სხვა პროცესები. ყველამ იცის, რომ ვარდების რევოლუციამდე და მას შემდეგ კიდევ ერთი წელი ტელევიზიის საკონტროლო პაკეტი თქვენი და დავით დვალის საკუთრება იყო. 2004 წელს თქვენ წილის 60% დათმეთ. როგორ მოხდა ეს და როგორ აპირებთ ამ პროცესებში ჩართვას დღეს?

– ვარდების რევოლუციაში ჩვენ გამოვედით მხარე. დღევანდელი გადმოსახედიდან მიმაჩნია, რომ არასწორი იყო, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ იძულებული გავხდით, მიგვეღო მონაწილეობა ამ პროცესებში, რადგან სხვა გზა არ გვქონდა დარჩენილი. მაშინდელი ხელისუფლება ჩვენ განგვიხილავდა, როგორც მხარეს და ავტომატურად აღმოვჩნდით ამ მდგომარეობაში, თუმცა, ალბათ, მეტი ძალისხმევა უნდა გამოგვეჩინა, რევოლუციის შემდეგ უნდა შეგვეცვალა ჩვენი ფორმატი.

ჯარჯი აქიმიძე ამბობს, რომ აქ დაიწყო კონფლიქტი მესამე დამფუძნებელთან, ეროსი კიწმარიშვილთან, რომელიც თვლიდა, რომ არ იყო დრო, ეკრიტიკებინათ ხელისუფლება, გვერდში უნდა დასდგომოდნენ მათ და ეთამაშათ მათი თამაში.

– ჩვენ მივიჩნევდით, რომ ტელევიზიის ფუნქცია არ არის ქება-დიდება და ა.შ. ტელევიზია უნდა იყოს კრიტიკული. ეროსი ამ პერიოდში იყო დირექტორი. ჩვენ უკვე ბევრი რამ არ მოგვწონდა. ისტორიული პერიოდი იყო, შემდეგ დაემატა ე.წ. აჭარის რევოლუცია, რომელშიც ინერციით აქტიურად მივიღეთ მონაწილეობა გაშუქებისა და პიარის თვალსაზრისით. აქ უკვე ძალიან დაძაბული იყო ჩვენ შორის ურთიერთობა, ფაქტობრივად აღარც ვკონტაქტობდით. მე და დათო ამ პერიოდში ერთი სართულით მაღლა, „ჯორჯიან ონლაინში“ ვიყავით და, ფაქტობრივად, ეროსისთან კონტაქტი არ გვქონია, იშვიათად. თუ გვქონდა, სრულდებოდა, როგორც წესი, სკანდალით.

ჯარჯი აქიმიძე იხსენებს, რომ ეროსიმ ერთ-ერთი სკანდალის წინ შემოუთვალა მას, მიშა სააკაშვილს უნდა ტელევიზიაზე საუბარიო.

– თუ სწორად მახსოვს, დათოს ელაპარაკა იმიტომ, რომ მე და ეროსი საერთოდ არ ვკონტაქტობდით. ჩვენ აშკარად კონფრონტაციულ მდგომარეობაში ვიყავით.

– შედგა თქვენი შეხვედრა სააკაშვილთან?

– არა, შეხვედრა სააკაშვილთან არ შედგა იმიტომ, რომ დათო აღელვებული იყო, მე რომ მივედი და ვუთხარი, სალაპარაკო არაფერი არ არისმეთქი. ამის მერე სიტუაცია შეიცვალა და გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ამბობდა, რომ მთავრობა ხედავდა პრობლემას ჩვენს ურთიერთობაში და უნდოდათ, რაღაცნაირად გაგვსაუბრებოდნენ, გვითხრა, რომ ადეიშვილსა და მერაბიშვილს უნდოდათ ჩვენთან შეხვედრა.

ჯარჯი აქიმიძე ამბობს, რომ ეს შეხვედრა შედგა რიყეზე, რესტორან „მეგრელებში“. შეხვედრა გაგრძელდა დაახლოებით ნახევარი საათი. იყვნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი, ჯარჯი და დათო.

– გვითხრეს, მადლობელი ვართ, აქტიური მონაწილეობა რომ მიიღეთ რევოლუციის დროსო, გვითხრეს, რომ ისინი მოვიდნენ მინიმუმ ორი ვადით ქვეყნის სამართავად, მათ კარგად იციან, რას ნიშნავს ტელევიზია, მათ კარგად დაინახეს მისი როლი, როგორ შეიძლება დაეხმარონ ხელისუფლებაში ყოფნაში და რომ მათ ტელევიზია უნდათ, მოკლედ რომ ვთქვათ, – ამბობს ჯარჯი აქიმიძე.

დვალი და აქიმიძე თავიდან ვერ მიხვდნენ, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი, ადეიშვილმა და მერაბიშვილმა კი აუხსნეს, რომ მათ აქვთ საკონტროლო პაკეტი, 60%, რომელიც მთავრობამ უნდა გააკონტროლოს.

– რა ფორმითა და როგორ მოხდება შესყიდვა, თანხაზე არ ყოფილა ლაპარაკი, უბრალოდ გვითხრეს, ჩვენ ეს გვჭირდებაო. ერთი კითხვა დავსვი, ეროსის პოზიცია რა იქნება-მეთქი. ეროსიც გვჭირდება, რომ შევინარჩუნოთ, როგორც დირექტორიო. წილთან დაკავშირებით არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, რომ ამაზე გონება გადამეკეტა. თავიანთი არგუმენტები ჰქონდათ, ტელევიზიამ როგორ უნდა გააშუქოს მათ მიერ გაკეთებული საქმე, რომ ისინი აპირებენ სერიოზული რაღაცების გაკეთებას. ეს უკვე ლირიკული ნაწილი იყო, რის შემდეგაც ავდექით და წამოვედით. ცოტა არ იყოს, გაოცებულები დარჩნენ, – იხსენებს ჯარჯი აქიმიძე.

– საინტერესოა, მათი ხედვით, როგორ უნდა ემუშავა ტელევიზიას, რომელიც მათი საკუთრება უნდა ყოფილიყო?

– როგორც იმუშავა 9 წლის განმავლობაში. ტელევიზიისგან გააკეთეს ჯერ პარტიული ტელევიზია, შემდეგ უკვე რაღაც პროპაგანდისტული მანქანა. ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, ამ ყველაფერს რომ ვლაპარაკობ, იმიტომ რომ, ფაქტობრივად, გამოვიდა, რომ ის, რაც ჩვენ ამდენი წლის განმავლობაში ვაკეთეთ, ჯიბეში ჩაიდეს. რაც ყველაზე ცუდია, ამ ყველაფრით ცუდი საქმეები აკეთეს.

– გამოდის, თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველები, საიდანაც დაიწყო მაშინ წილების ასე დათმობის პროცესი.

– ალბათ, ასეა. ჩვენთან მოხდა ძალიან ღიად, ყველანაირი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, რომ მათ სჭირდებათ ტელევიზია, საკონტროლო პაკეტი და ამის შემდეგ თვითონ იციან, როგორ მიხედავენ ამ საქმეს. ამაზე რომ უარი მიიღეს, შემდეგ დაიწყეს სქემების მოძებნა, როგორ შეიძლებოდა ეს ყველაფერი განხორციელებულიყო. ერთ-ერთი ბოლო წერტილი იყო ის, რომ ტელევიზია ფაქტობრივად გაკოტრების რეჟიმში გადაიყვანეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ ვერანაირ მოქმედებას ვეღარ განვახორციელებდით, როგორიც იყო დირექტორის გამოცვლა, გარკვეული მანიპულაციები და ა.შ.

საქმე მდგომარეობდა იმაში, რომ „ჯორჯიან ონლაინი“ და ჩვენი ქონება იყო კრედიტის გარანტი, რომელიც რუსთავი 2-ს ჰქონდა აღებული. ეს იყო მილიონ 200 ათასი დოლარი. ეს იყო მედიაგანვითარების ფონდი, რომელმაც 2 წლის წინ მოგვცა დაბალპროცენტიანი კრედიტი, რომელსაც რუსთავი 2 ნელ-ნელა იხდიდა. იმისათვის, რომ უზრუნველყოფა გაკეთებულიყო, ჩვენი მეორე კომპანიის „ჯორჯიან ონლაინის“ ქონება და ჩვენი პირადი ქონება იყო ბანკში.

ერთ მშვენიერ დღეს მოდის წერილი, ვინაიდან კომპანია არის გაკოტრების რეჟიმში, კეთილი ინებეთ და სასწრაფოდ დაფარეთ ვალებიო. ეს ნიშნავდა იმას, რომ სასწრაფოდ უნდა დაგვეფარა, ან სახლები უნდა გაგვეყიდა, ან – „ჯორჯიან ონლაინი“. გაკვირვება როცა გამოვთქვით, ასეთ რაღაცებს როგორ კადრულობდნენ, მითხრეს, დროზე დაამთავრეთ ეს საქმე, თორემ საცვლების ამარა დარჩებითო.

– ეს ვინ გითხრათ?

– ეს გადმოგვცეს, როგორც პირადად სააკაშვილის შემონათვალი.

– ვინ გადმოგცათ, ვინ იყო შუამავალი, შეგიძლიათ თქვათ?

– ასე დეტალები აღარ მახსოვს.

– მანამდე გქონდათ მერაბიშვილთან და ადეიშვილთან კონტაქტი, შეხვედრები?

– მე პირადად არ მქონდა, იქიდან გამომდინარე, რომ წინა სარევოლუციო პერიოდამდე ეროსისთან მორიგი დიდი სკანდალი მქონდა, რომლის შედეგადაც რაღაც დროის განმავლობაში პრინციპულად არ მქონდა კონტაქტი და არ მივდიოდი ტელევიზიაში. მერე რაღაც პრობლემები იყო, ისევ დათო შეეცადა, მოეგვარებინა პრობლემები, ისევ შეხვედრა და ისევ მივედი. ეს ორი ადამიანი იყო, რომელსაც ე.წ. რევოლუციურ საბჭოსთან ჰქონდა ურთიერთობები. მე, ძირითადად, ვიყავი ტელევიზიაში და შიდა სამზარეულოში რაღაცებს ვაკეთებდი.

– ალბათ, ჟურნალისტებსაც აუხსენით სიტუაცია. როგორი იყო მაშინ ჟურნალისტების პოზიცია?

– ვერ ავუხსენით, იმიტომ, რომ წარმოიდგინეთ ასეთი რაღაც – ერთი თვის წინ მომხდარია აჭარის რევოლუცია, ყველა ბედნიერია, რომ შევარდნაძის მმართველობისგან გავთავისუფლდით, ახალ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ, ყველა გადასარევ ხასიათზეა და ა.შ. როგორც ჩანს, ვერ მოვძებნეთ სათანადო ძალები, რომ გაგვეწია წინააღმდეგობა.

– ნანობთ, რომ ვარდების რევოლუციის თანამონაწილე იყავით?

– თუ შევხედავთ ვარდების რევოლუციასა და იმ პროცესს, რომელიც მიდიოდა, ჩვენ არ ვნანობთ, იქიდან გამომდინარე, რომ ის 9 წელი ქვეყნის მიერ იყო გასავლელი, თუ უკეთ გაივლიდა, უკეთესი იქნებოდა და თუ იმდენ შეცდომას არ დაუშვებდნენ, რამდენიც დაუშვეს. უკეთესი იქნებოდა ალბათ, რომ ჩვენ არ ვყოფილიყავით მხარე, თუმცა ჩვენ იძულებულები ვიყავით, რომ ვყოფილიყავით მხარე.

ის არის ყველაზე ცუდი, რომ ნაცმოძრაობა მიხდა, რომ ამ ტელევიზიის საშუალებით, ნებისმიერი ტელევიზიის საშუალებით, რომელიც იმ კონდიციაში იყო, როგორშიც რუსთავი 2, რომელსაც გამარჯვებული ხალხის ტელევიზია დაერქვა, ყველაფრის გაკეთება შეეძლო. ამ იარაღით, ფაქტობრივად, დატენილი თოფით, ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა, როგორც კარგის, ისე ცუდის.

– ამბობენ, რომ სააკაშვილი, ადეიშვილი და მერაბიშვილი მაინცდამაინც არც ეროსი კიწმარიშვილს ენდობოდნენ და მას კიდევ ჰყავდა საკუთარი მაკონტროლებელი. ვინ იყო ის ადამიანი და ეროსისთან ერთად ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც თქვენ უნდა ჩაენაცვლებინეთ?

– მე მახსოვს შემონათვალები, რომ მიშა ისტერიკაშია, ყოველდღე იწყებს იმით, რით ვერ დაამთავრეს რუსთავის საქმე, რა გახდა ბოლო-ბოლო ეს ორი კაცი, რა არის ამისთანა, რომ არ დამთავრდა ეს პროცესიო. ეს ამბები მოჰქონდათ ფაქტობრივად ყოველდღიურ რეჟიმში. პარალელურად დევნა, თვალთვალი, აშკარა შემონათვალები, აბა, რა გეგონათო.

მივადექით ადეიშვილს და ვუთხარით, რა დავაშავეთ ასეთი, ასეთ ტერორში რომ გვამყოფებდა. ძალიან მშვიდად, წყნარად გაიღიმა და გვითხრა, გააგრძელეთ მოლაპარაკებები და არაფერი აღარ იქნება, დავასრულოთ ეს საქმე ბოლოს და ბოლოსო, თან პარალელურად გესმის, რომ მიშა ისტერიკაშია და ითხოვს, დროზე დასრულდეს ეს საქმე.

ეს საქმე დაასრულეს ძალიან მარტივად, გვითხრეს, რომ რეალობა ასეთია, ან კარგავთ ყველაფერს, ან მოგვეცით რუსთავი 2 და გაგანებებთ საერთოდ თავსო. დავსხედით და პრაგმატულად ვიმსჯელეთ. მე არ დამიშვია, რომ ესენი რამე უბედურებაზე წავიდოდნენ, თუმცა ყველაფერი მიდიოდა იქითკენ, რომ შემდგომი რაღაც უფრო მძიმე ნაბიჯი უნდა ყოფილიყო.

ახლა ძალიან მარტივია იმაზე საუბარი, რომ თურმე ჩვენ ხმალი უნდა გვეშიშვლა და რაღაც ურჩხულს დავტაკებოდით და შევწირვოდით ამ უთანასწორო ბრძოლას. ალბათ, გადაღლილებიც ვიყავით – ამდენი წლის განმავლობაში მუდმივი სტრესი, დაძაბულობა, თან როდესაც მესამე პარტნიორი მოწინააღმდეგის ბანაკშია, ძალიან რთულია. სრული დემორალიზება დაგვემართა ამის გამო.

– რის სანაცვლოდ დათმეთ რუსთავი 2, გადაგიხადეს გონივრული თანხა თუ წაიღეს ეს წილი და მორჩა?

– არა, ეს წილი უბრალოდ არ წაუღიათ, რა თქმა უნდა. ძალიან უცნაური რაღაც მოხდა, ჩვენ გვითხრეს გარკვეული თანხა. რა თანხა, ვერ ვიტყვი, იმიტომ, რომ პროკურატურაში 3 წელია დევს, თავიდანვე გვკითხეს ეს და ვუთხარით. პროკურატურაში კატეგორიულად განგვიცხადეს, ასეთი დეტალები არ გაახმაუროთო. შესაბამისად, ჩვენ ვიცავთ პირობას და არ გვაქვს უფლება, გავახმაუროთ დეტალები.

მათ 3 წელია, უდევთ ეს საქმე და გამოფინოს პროკურატურამ ეს საქმე. ყველა მოწმე დაკითხულია, როგორც ვიცით, აბსოლუტურად ყველა იძლევა ჩვენებას. დადონ ქაღალდები და ვისთანაც თქვენ საუბარი შეიძლება გაინტერესებდეთ, ყველა ეს ადამიანი საუბრობს. ძალიან მარტივად გაიშიფრება და დალაგდება ეს ისტორია, რომელიც ამდენი ხანია ბურუსით არის მოცული. მაგრამ არ აკეთებენ და რატომ არ აკეთებენ, ეგ უკვე აღარ ვიცი.

მივადექით ადეიშვილს და ვუთხარით, რა დავაშავეთ ასეთი, ასეთ ტერორში რომ გვამყოფებდა. ძალიან მშვიდად, წყნარად გაიღიმა და გვითხრა, გააგრძელეთ მოლაპარაკებები და არაფერი აღარ იქნება, დავასრულოთ ეს საქმე ბოლოს და ბოლოსო, თან პარალელურად გესმის, რომ მიშა ისტერიკაშია და ითხოვს, დროზე დასრულდეს ეს საქმე

გვითხრეს, რომ შეხვედრა უნდოდათ ადეიშვილს, მერაბიშვილსა და ოქრუაშვილს. მივედით, გადაგვიხადეს მადლობა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა თუ რაღაც მაგდაგვარისთვის და გვითხრეს, რომ სააკაშვილს ძალიან უნდოდა ჩვენთან შეხვედრა, რათა მასაც მადლობა გადაეხადა. ჩვენ ვუთხარით, რომ ჩვენთვის თავი დაენებებინათ, ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, ავდექით და წამოვედით

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

გაგრძელება მე-7 გვერდზე

შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსა და ამავე დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1976 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი სპარტაკ ქ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა სპარტაკ ქ. სენაკში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას „გლოკის“ მოდელის 2 პისტოლეტი ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

საპატრულო პოლიციამ ხუთი პირი დააკავა

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1980 წელს დაბადებული გიორგი წ. და 1981 წელს დაბადებული გიორგი ჩ. თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ძარცვის, ხოლო 1982 წელს დაბადებული გიორგი ც, 1986 წელს დაბადებული დავით ნ. და 1968 წელს დაბადებული ხათუნა ც. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება, რომ თბილისში, პეკინის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ღამის კლუბში ირანის ისლამური რესპუბლიკის ორ მოქალაქეს თავისუფლება აღუკვეთეს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლები შეტყობინების მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ. ადგილზე მისვლისას დადგინდა, რომ ღამის კლუბის თანამშრომლებმა ორ კლიენტს – ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეებს ფული წაართვეს, შემდეგ კი თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს და ბარის ერთ-ერთ ოთახში ჩაკეტეს.

გამოძიება გიორგი წ-სა და გიორგი ჩ-ს მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ძარცვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 143-ე და 178-ე მუხლები), ხოლო გიორგი ც-ს, დავით ნ-ს და ხათუნა ც-ს მიმართ დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით).

ჯარჯი აქიმიძე: „გვითხრეს, ან რუსთავი 2 მოგვეცით, ან ყველაფერს დაკარგავთო!“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

მაგდაგვარისთვის და გვითხრეს, რომ ძალიან უნდოდა სააკაშვილს ჩვენთან შეხვედრა, რათა მასაც მადლობა გადაეხადა.

ჩვენ ვუთხარით, რომ ჩვენთვის თავი დაენებებინათ, ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, ავდექით და წამოვედით. გზაში გვითხრეს, ამის შემდეგ თქვენთან ყველანაირი პრობლემა მოგვარებულია და შეგიძლიათ, ამ ქვეყანაში ნორმალურად გაატაროთ ცხოვრებაო.

– როგორ შემოვიდა ამ ამბავში ქიბარ ხალვაში და თქვენ რა კავშირი გქონდათ მასთან?

– ქიბარ ხალვაში ჩემთვის იმ გაუგებრობაში, რომელიც მაშინ ჩვენს თავს ხდებოდა, იყო ერთადერთი ნათელი წერტილი და ახლა აგიხსნით, რატომ.

ამ მოვლენებამდე ორი წლით ადრე რუსთავი 2-მა მიიღო მედიასესხი – დიდი თანხა და დაბალპროცენტიანი. ამ სესხის გარანტიად ჩადებული გვქონდა ჩვენი მეორე კომპანია „ჯორჯიან ონლაინი“, ასევე ჩემი და დათო დვალის სახლები. მოგვივიდა წერილი, რომ, რადგანაც კომპანია კოტრდება, სასწრაფოდ ითხოვდნენ ვალის დაფარვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ყველაფერს ვკარგავდით.

როცა ყველა წილი გადაგვაფორმებინეს, ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ბოლოს უკვე საჩვენოდ დავსვით, იყო ის, რომ ეს სესხი, მილიონ ორასი ათასი, რომელიც ჩვენზე იყო გაფორმებული, იმას გადაეხადა, ვინც რუსთავი 2-ში შემოდიოდა.

დავურეკეთ შუამავალს და ვუთხარით. მაშინ გვითხრეს, ამა და ამ დროს მიხვალთ ნოტარიუსთან და იქ დაგხვდებათ ადამიანი, რომელიც თქვენს ვალებს გადაიბარებსო. მივედით იქ და დაგვხვდა ქიბარ ხალვაში, რომელიც პირველად ვნახე ცხოვრებაში. მან გვითხრა, ბიჭებო, მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც თქვენი ვალები უნდა გადაიბაროსო, მოაწერა ხელი დოკუმენტებს, გვითხრა, მესმის თქვენი კარგად ყველაფერი და იმისათვის, რომ ერთმანეთი უკეთ გავიცნოთ, თუ გნებავთ, დაგპატიჟებთ ჩემთან სახლში, ვისადილოთო. ჩვენ, ჭკუიდან გადასულებს, არ გვესადილებოდა და ვუთხარით, ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთო.

გვითხრეს, რომ ხანდაზმულობის გამო ეს საქმე სასამართლოში ვერ წავიდოდა, ამიტომ წავედით პროკურატურაში. წავედით და აგერ შემოდეს და უდევთ იქ და, ეტყობა, თვითონ კარგად იზეპირებდნენ

იმის გამო, რომ თვითონ რუსთავი 2-ის სამსახური „ჯორჯია ონლაინის“ ქვეშ იყო, ქიბართან სულ გვქონდა გარკვეული ურთიერთობა, რაღაცებს გვეკითხებოდა, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ რაღაცები ვიცოდით და ის მაშინ ცდილობდა, რაღაცებში გარკვეულიყო. მუდმივად აფიქსირებდა ჩვენ მიმართ პატივისცემას.

– რას ითხოვთ პროკურატურისგან, როცა, ერთი შეხედვით, ყველაფერი კანონიერადაა შესრულებული: წილში, რომელიც გაასხვისეთ, მოგცეს უფრო მეტი თანხა, ვიდრე ხელშეკრულებაში იყო, თქვენი ვალები დააფარვინეს ქიბარ ხალვაშს და სამართლებრივად სად შეიძლება ედავოთ მათ?

– არსად, იძულებით დაგვათმობინეს, არ გვინდოდა გაყიდვა და გვითხრეს, უნდა გაყიდოთო. სიტყვაზე, 10 ლარიც რომ ღირებოდა, ჯერ ხომ არ მინდოდა ის 10 ლარიც, მაგრამ გადამიხადეს 1 ლარი და მითხრეს, რომ ეს 1 ლარი აუცილებლად უნდა აიღოო, თუ არ აიღებ, მაშინ ისევ გაგრძელდება ეს თქვენი წარამარა უბედურებაო. არ მინდოდა ეს უბედურება და ამიტომ დავთანხმდი. ჩვენ იქ პროკურატურაში არაფერს ვითხოვთ. გვინდა, რომ ფაქტის შესახებ დაინიშნოს გამოძიება, დაიკითხონ ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფრის მომსწრეები და მხილველები არიან.

გამოიძიეთ ეს ფაქტი, მიეცით კვალიფიკაცია და, თუ ეს იყო დანაშაული, მაშინ ეს გამოძიება უნდა წავიდეს სასამართლოში, ხოლო მერე უკვე თავისი პროცედურა აქვს ამას. გამოიძიეს ყველაფერი, მაგრამ არ უთქვამთ, ეს უწესო საქციელი იყო თუ – წესიერი.

შპს „სასწავლო უნივერსიტეტი „რუბიკონი“ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) დასაკავებლად შემდეგ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

ვაკანტური ადგილები:

2) პროფესორი – 3 ვაკანსია;
3) ასოცირებული პროფესორი – 4 ვაკანსია;
4) ასისტენტ პროფესორი – 1 ვაკანსია;

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა:

ვაკანტური ადგილები:

1) პროფესორი – 1 ვაკანსია;
2) ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია;
3) ასისტენტ პროფესორი – 1 ვაკანსია;

აგრონომიის ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

ვაკანტური ადგილები:

1) პროფესორი – 1 ვაკანსია;
2) ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია;
3) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია;

საკონკურსო კრიტერიუმები პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:

1) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;

2) არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება-ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე. უცხო ენების ცოდნა.

საკონკურსო კრიტერიუმები ასოცირებულ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:

1) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;

2) არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება-ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე. უცხო ენების ცოდნა.

საკონკურსო კრიტერიუმები ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:

1) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;

2) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე. უცხო ენების ცოდნა.

კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგის აკადემიური თანამდებობისა და განსახორციელებელი პროგრამის ენის მითითებით (განაცხადი შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);

2) ავტობიოგრაფია (CV) დეტალური ინფორმაციით კანდიდატის არამარტო კვალიფიკაციისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, არამედ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ, ხოლო პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად – შესაბამისი პროფესიული გამოცდილების შესახებ (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);

3) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);

4) შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტების ასლები (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);

5) 2 ფოტოსურათი ზომით 3/4;

6) კონკურსანტის მიერ შედგენილი შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი (კონკურსანტის სურვილისამებრ);

7) სამოტივაციო წერილი.

კონკურსის გამოცხადების თარიღი: 30 ოქტომბერი, 2015 წელი.

კონკურსის ვადები:

- აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2015 წლის 30 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით.
- კონკურსის შედეგები გამოცხადდება 14 დეკემბერს.

საკონტაქტო ინფორმაცია კონკურსანტებისათვის:

კონკურსანტთა განაცხადის მიღება იწარმოებს როგორც ელექტრონული სახით Ms.baidauri@mail.ru, ასევე ქაღალდის მატარებელზე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ნუცუბიძის ქ.161. ტელ.: 555-180-140; 591-13-49-87.

ეშტონ კარტერი: „რუსეთის მოქმედება სირიაში დამღუპველია!“

– რუსეთის ქმედება სირიაში დამღუპელია როგორც სირიელთათვის, ისე თავად რუსეთისათვის! – განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა.

ეშტონ კარტერმა თავის გამოსვლაში განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ სავალალო შედეგებს, რომლებიც სირიას რუსეთის ჩარევამ მოუტანა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ მდგომარეობაზე ხაზგასმით შეჩერდა. მან დაწვრილებით მიმოიხილა როგორც პირველი, ისე მეორე ჩეჩნეთის ომი, აგრეთვე დღეს არსებული ვითარება, როცა რუსული მედია ლამისაა ყოველდღე გაჰყვირის, ტერორისტები გავანადგურეთო, სინამდვილეში კი რუსეთში ტერორი არ წყდება.

– მოსკოვმა ექსტრემიზმთან ბრძოლაში სრული უმწეობა და უუნარობა გამოავლინა! ეს თანაბრად შეეხება როგორც ჩრდილოეთ კავკასიას, ასევე სირიას, – ამბობს კარტერი.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ პუტინის ტაქტიკამ სირიაში სრული მარცხი განიცადა. ტერორისტების ალაგმვის ნაცვლად მოხდა მათი გაძლიერება, წარმოიქმნა რეგიონული ომის საფრთხე. ამან როგორც ისრაელი, ასევე ევროპის ქვეყნები შეაშფოთა.

– იმედი მაქვს, პუტინისთვის მომხდარი გაკვეთილი იქნება და ასადის წასვლას დაჰყაბულდება, – განაცხადა გაეროს ყოფილმა თავკაცმა კოფი ანანმა.

ჯერჯერობით კი სირიაში ომი გრძელდება.

© picture-alliance/dpa/V. Kalnina

ნატო რუსეთის საზღვრებთან თავის კონტინგენტს გაზრდის

ნატო რუსეთის საზღვრებთან თავის კონტინგენტს გაზრდის. დაგეგმილია ბატალიონების განთავსება პოლონეთსა და ბალტიისპირეთში. სულ 4.000 ჯარისკაცის განთავსებაა დაგეგმილი.

ამან რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია.

გერმანიაშიც რუსეთის საზღვრებთან ნატოს კონტინგენტის გაზრდით არცთუ კმაყოფილნი არიან. ამას ხმამაღლა აცხადებენ როგორც ბუნდესტაგის ცალკეული დეპუტატები, ასევე მთავრობის წევრებიც.

სამაგიეროდ, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები ნატოს კონტინგენტის გაზრდას მიესალმებიან. აღმოსავლეთ ევროპის რვა ქვეყანამ, კერძოდ, პოლონეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, ჩეხეთმა, სლოვაკეთმა, ლატვიამ, ლიტვამ და ესტონეთმა ნატოს კონტინგენტის გაზრდას მხარი დაუჭირეს.

პოლონელი სენატორი ლვოვს ითხოვს

პოლონელმა სენატორმა იან ჟარინმა განაცხადა, რომ ლვოვი თურმე პოლონეთის კუთვნილებაა და მას უნდა დაუბრუნდეს. ჟარინი თავის ინტერვიუში უკრაინული ნაციონალიზმის თემას შეეხო. მან ფრიად არაკორექტული გამოთქმების უფლება მისცა თავს.

– ერი, რომელიც ბანდერელებს გმირებად აღიქვამს, ავადმყოფი ერია, თუკი შეიძლება, მას საერთოდ ერი ვუწოდოთ, – თქვა ჟარინმა.

ეს გამოსვლა რუსეთის დუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელ პუშკოვის გამოსვლას დაემთხვა. მან განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში პოლონეთ-უკრაინას შორის ურთიერთობების გამწვავებაა მოსალოდნელი.

– პოლონეთში მართლაც გააქტიურდნენ პროვოკატორები, რომლებიც როგორც პოლონეთის, ასევე უკრაინის წინააღმდეგ მუშაობენ. მათი მიზანი ჩვენს ერებს შორის შუღლის ჩამოგდებაა, – იტყობინება მე-5 არხი.

პროვოკატორების გააქტიურება მემარჯვენე პარტიის „უფლება და სამართლიანობის“ გამარჯვების ფონზე ხდება, რის შემდეგადაც პოლონეთ-უკრაინას შორის თანამშრომლობის გაღრმავების რეალური პერსპექტივა გამოიკვეთა.

სერბებს გენერალ ნედიჩის რეაბილიტაცია სურთ

Public domain

სერბებს გენერალ მილან ნედიჩის (1877-1946) რეაბილიტაცია სურთ.

ნედიჩი მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტებთან თანამშრომლობდა და სერბეთის მარიონეტულ მთავრობას ედგა სათავეში. ომის შემდეგ ნედიჩი მოკავშირეებმა კომუნისტური იუგოსლავიის ხელისუფლებას გადასცეს. მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

– სერბი შოვინისტები ნედიჩის რეაბილიტაციას კარგა ხანია, ამაოდ მოითხოვენ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ამჟამად ნედიჩის ადვოკატად მისი შვილიშვილი მოგვევლინა. მან სერბეთის უმაღლეს სასამართლოს მიმართა და ბაბუამისის რეაბილიტაცია მოითხოვა. ამ გამოსვლას წინ უსწრებდა გამოკითხვა, რომელიც ბელგრადის ტელევიზიამ ჩაატარა. თანახმად ამ გამოკითხვისა, სერბების უმრავლესობა ნედიჩს მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მოღვაწედ მიიჩნევს.

– ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სერბები დემოკრატიული იდეალებისაგან შორს დგანან, – წერს ჟურნალი „ხორვატია“.

უკრაინაში რუსი ოკუპანტებისგან გათავისუფლების დღეს დააწესებენ

– დარწმუნებული ვარ, რომ როგორც დონბასი, ისე ყირიმი უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნდებიან. იმ დღეს, როცა ეს მოხდება, უკრაინის ოკუპანტებისაგან გათავისუფლების დღეს უწოდებენ! – განაცხადა უკრაინის პარლამენტის სპიკერმა გროისმანმა.

ამას მხარი უკრაინის პრემიერმა იაცენიუკმაც დაუჭირა. მან აღნიშნა, რომ დღეს მიმდინარეობს სამამულო ომი უკრაინაში და, როცა რუსებს გააძევებენ, ეს ისეთივე გრანდიოზული დღესასწაული იქნება, როგორიც – ნაციზმის დამარცხება.

სირიაში დაღუპული რუსი ჯარისკაცის ოჯახს არ სჯერა, რომ მან თავი მოიკლა

AP

უკვე ოფიციალურად გასაჯაროვდა რუსი ჯარისკაცის გვარი, რომელიც სირიაში დაიღუპა. ესაა კოსტენკო, რომელიც კრასნოდარის მხარეში ცხოვრობდა. თანახმად ოფიციალური ცნობისა, მან კონტრაქტს ხელი მოაწერა და სირიაში გაემგზავრა, სადაც სამხედრო ბაზაზე ტექნიკური პერსონალის როლს ასრულებდა:

– მას არავითარი მიზეზი არ ჰქონდა, თავი მოეკლა! ამბობენ, მეგობარმა გოგონამ მიატოვაო. ეს სიცრუეა! – აცხადებს დაღუპული ჯარისკაცის დედა სვეტლანა კოსტენკო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

ლეო მესი: „მე და რონალდუ კონკურენტები არ ვართ“

ლეო მესი სრულიად სამართლიანად ითვლება მსოფლიოს თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად. ახლა არგენტინელ ფეხბურთელს ტრავმა აწუხებს, თუმცა მის გამოჯანმრთელებას დიდი დრო არ დასჭირდება და ლეოს მალე შეეძლება გულშემატკივართა გულის გახარება.

მანამდე კი მესიმ ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა და გილემ ბალაგს ესაუბრა. ეს ის ბალაგია, რომელიც მესის პირველი ავტობიოგრაფიული წიგნის ავტორია.

– როგორი იყო მეორე შვილის, მატეოს დაბადების დღე? რა იყო ყველაზე ძლიერი გრძნობა, რომელიც მაშინ განიცადე?

– ამ დღეს განსხვავებული ემოციები გვქონდა. რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიხარდა.

– როგორია ერთი ჩვეულებრივი დღე ლეო მესის ცხოვრებაში?

– ალბათ, ისეთივე, როგორიც ყველა სპორტსმენის. ვცდილობ, არ დავარღვიო სავარჯიშო რეჟიმი, შემდეგ კი სხვა ადამიანების მსგავსად დავისვენო ოჯახთან და მეგობრებთან ერთად.

– შეიცვალა თუ არა თქვენი საფეხბურთო აღქმა მას შემდეგ, რაც პირველად ტიაგო გეყოლათ, ახლა კი უკვე მატეო?

– საფეხბურთო გრძნობებში არაფერი შეცვლილა. უფრო სიტუაცია იცვლება შვილებთან მიმართებით. ყველა მამას აქვს პასუხისმგებლობა შვილების აღზრდის საკითხში.

– ერთხელ აღვნიშნეთ, რომ თქვენნაირი ადამიანებისთვის ყოველი წაგება პატარა სიკვდილის ტოლფასია. ხშირად გიტირიათ, როცა წაგიგიათ. როგორ შეურიგდებით დამარცხებას ახლა, როცა უკვე მამა ხართ?

– ზუსტად ისე, როგორც ადრე ვაკეთებდი. წაგებას ვერც ახლა ვიტანთ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ, სახლში დაბრუნებული, შვილებში ვპოულობ ნუგეშს.

– თამაშის დროს თქვენი როლის ცვლილებაზე სპეციალურად ბევრი იმუშავეთ თუ ბუნებრივად განვითარდით?

– არა, აბსოლუტურად არა. ჩვენ იმას ვაკეთებთ და იმაზე ვმუშაობთ, რაც კონკრეტული თამაშისთვის გვჭირდება. ზოგჯერ არის მომენტი, როცა ბურთის მოსაპოვებლად უკან ჩამოსვლა და მცველების დახმარებაა საჭირო, ზოგჯერ კი წინ უნდა წახვიდე და საგოლე სიტუაცია შექმნა.

– განვითარებაში გეხმარებათ ის ფაქტი, რომ კრიშტიანუ რონალდუ თქვენს ლიგაში თამაშობს?

– ამაზე ხალხი ლაპარაკობს. მე არ ვარ რონალდუს კონკურენტი და, ვფიქრობ, არც ის არის ჩემი კონკურენტი. მხოლოდ ის მინდა, რომ ჩემს გუნდს წარმატება მოვუტანო. ამისთვის ვშრომობ.

– აღიარებთ, რომ არგენტინასთან თქვენი ურთიერთობა ყოველთვის შეიძლება იყოს სიყვარულისა და სიძულვილის თემა?

– სიმართლე გითხრათ, არა. ზოგადად, არგენტინელი ხალხი ძალიან ვნებიანია. კარგად „ვმკურნალობთ“ იმ ვარსკვლავებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას წარმოადგენენ. არიან ისეთებიც, ვინც შეურაცხყოფას გვაყენებენ მათ, ვინც ქვეყანას ვემსახურებით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არავის ვსაყვედურობ, რადგან ყველას აქვს აზრის გამოხატვის უფლება.

– რომ შეგეძლოთ, მთელი მსოფლიოდან რომელ ფეხბურთელს ამოარჩევდით არგენტინის ნაკრებში სათამაშოდ?

– ასეთი ბევრია და, ერთი რომ დავასახელო, სხვების მიმართ უპატივცემულობა გამომივა.

– შეგიძლიათ, თქვენი თავი სხვა ლიგაში წარმოიდგინო?

– არ მინდა, ასე შორს გავიხედო. მე მომენტით ვცხოვრობ, ამ მომენტში კი ბარსელონაში ვთამაშობ, ესპანეთში ვცხოვრობ და კმაყოფილი ვარ.

– ფეხბურთის ყურება ტელევიზორში გიყვართ?

– კი, ძალიან მიყვარს.

– ერთხელ მითხარით, რომ „მესის“ წიგნის დასაწყისს მაინც წაიკითხავდით. არ გიყვართ წარსული გახსენება თუ, უბრალოდ, თქვენს თავზე კითხვა არ გსიამოვნებთ?

– ნამდვილად. როგორც გითხარით, მომენტით ვცხოვრობ, ამიტომ არ მიყვარს წარსულში ქექვა ანდა მომავალზე ფიქრი.

– რაზე ოცნებობთ, როცა ახლად გაღვიძებული ხართ?

– არ ვოცნებობ დილით. მე, უბრალოდ, მინდა ოჯახთან ერთად ჰარმონიაში ვიცხოვრო, ოცნება არ მჩვევია. რა თქმა უნდა, მაქვს გარკვეული იმედები და ამბიციები, მაგრამ ეს პირადულია.

– ვისზე ცდილობთ შთაბეჭდილების მოხდენას, როცა მინდორზე გადიხართ სათამაშოდ: ფანებზე, მამაზე, შვილებზე, თუ მეულღეზე?

– არ მჭირდება, ვინმეზე შთაბეჭდილება მოვახდინო. მე ამისთვის არ ვთამაშობ ფეხბურთს. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მომწონს, ასევე იმიტომ, რომ ჩემი პროფესიაა. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, მინდა, ჩემმა შვილებმა გაიგონ, რასაც ვაკეთებ.

– რა იგრძენით, როცა ტრავმა მოგაყენეს? რა ტრიალებდა მაშინ თქვენს თავში?

– უცნაური გრძნობა იყო, სხვა დროისგან განსხვავებული. ვიცოდი, რომ ეს იყო რაღაც უფრო სერიოზული, ვიდრე უმნიშვნელო დარტყმა.

– ახლა როგორ გრძნობთ თავს?

– ოპტიმისტურად, ველოდები გამოჯანმრთელებას. სპორტსმენისთვის მსოფლიოში ყველაზე ცუდი გრძნობა ტრავმირებული ყოფნაა, მაგრამ თავიდანვე ვიცოდი, რომ ზოგჯერ ტრავმასაც მივიღებდი. ერთადერთი სწორი გამოსავალი სწრაფად გამოჯანმრთელებაა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, 100%-ით მზად ვიყო მუდამ.

– როგორ ფიქრობთ, როდის შეძლებთ, მინდორს დაუბრუნდეთ?

– მაშინ, როცა მე თვითონ მივხვდები და ექიმებიც დამიდასტურებენ, რომ შემიძლია. ყოველდღიურად ვვითარდები, მაგრამ საკუთარ თავს არ ვუსახავ მიზნებს. არ მინდა, ვიფიქრო ზუსტ თარიღზე. როცა ექიმი მეტყვის, რომ მზად ვარ, თამაშს მაშინ დავიწყებ.

ძიუდოისტები აბუ დაბიში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდნენ

დღეს არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ აბუ დაბიში ძიუდოისტთა მორიგი გრანდ სლემის ტურნირი იწყება. ამ ტურნირის პრესტიჟულობაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი საპრიზო ფონდი 154.000 დოლარია.

პირველადგილოსანი, 500 სარეიტინგო ქულასთან ერთად, საკუთარ საბანკო ანგარიშს 5.000 დოლარით შეავსებს, მეორეადგილოსანისთვის 300 ქულა და 3.000 დოლარია განკუთვნილი, ხოლო მესამეადგილოსანი 200 ქულასა და 1.500 დოლარს მიიღებს.

არაბეთში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას 66 და 100 კილოგრამები იპყრობს, სადაც ოლიმპიური ლიცენზიების მოსაპოვებლად ცხარე ბრძოლაში ვართ ჩაბმულები. არადა, ეს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რანგის შეჯიბრებაა და როგორც ხედავთ, ქულებიც ბლომად გაიცემა. იქ წარმატების მოპოვებას სალიცენზიო რეიტინგში გვარიანი ხეირის მოტანა შეუძლია.

საქართველოს ნაკრები ამ ტურნირზე არცთუ უძლიერესი შემადგენლობით მიემგზავრება. გუნდს დაეკლდებიან ნუგზარ ტატალაშვილი (73), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ), ვარლამ ლიპარტელიანი (90) ბექა ღვინიაშვილი (90) და ადამ ოქრუაშვილი (მძიმე).

აბუ დაბიში გაემგზავრნენ: ამირან პაპინაშვილი (60), ლუხუმ ჩხვიმიანი (60), ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი (73), უშანგი მარგიანი (81), ალექსანდრე მსხალაძე (100), ლევან მატიაშვილი (მძიმე).

ფაჩულიამ სეზონი ორმაგი დუბლით დაიწყო

გამარჯვება ფინიქსში



ზაზა ფაჩულიამ სეზონი სასტარტოთი, ორმაგი დუბლითა და გამარჯვებით გახსნა. საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა დასავლეთ კონფერენციისა და ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ფავორიტი გუნდის სასტარტო ხუთეულში ითამაშა, ორმაგი დუბლი მიითვალა, ხოლო დალას მავერიკსმა ფინიქსში სანსი დაამარცხა.

ფაჩულიას გუნდმა სეზონისწინა ექვსივე საგამოფენო მატჩი წააგო და, როცა საქმე საქმეზე მიდგა, რეგულარულ ჩემპიონატში პირველივე შეხვედრაში იმარჯვა.

გამარჯვება ისეთი დამაჯერებელი გახლდათ, რომ ფინიქსელებს, რომლებიც საკუთარ არენაზე თამაშობდნენ, წარმატების იმედიც კი არ ჰქონიათ.

პირველი ნახევრის 7 ქულით მოგების შემდეგ, მესამე პერიოდში დალასელთა უპირატესობა 27 ქულაზე ავიდა, რითაც წერტილი დაესვა მასპინძლების წვალებას. არიზონელი მზეები დარჩენილ დროში ფაჩულიას გუნდს 14 ქულაზე ახლოს ვერ მიეახლნენ და საბოლოოდ დალასმა 111:95 იმარჯვა.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და 25 წუთი ითამაშა. ამ დროის მანძილზე ჩვენებურმა 10 ქულა, 10 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა, ბურთი კი ერთადერთხელ დაკარგა.

ერთადერთი, რაც ქართველი ცენტრის ასპარეზობას ოდნავ ჩრდილს აყენებს, თამაშიდან სროლათა დაბალი პროცენტული მაჩვენებელია. ზაზამ 10-დან მხოლოდ 2 ორქულიანი ჩააგდო, თუმცა 6-დან ყველა საჯარიმო ჩააგდო და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

საერთოდ, დალასელებს საკმაოდ დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავთ და ეს მათ გუნდურ თამაშშიც აისახა. 8 ტეხასელის ქულობრივი მონაგარი ორნიშნა რიცხვით გამოიხატა. ყველაზე მეტი – 18 ქულა რეიმონდ ფელტონმა მიითვალა, ხოლო 10 ქულა ფაჩულიასთან ერთად ჯეიჯეი ბარეამ, დევინ ჰარისმა და ჩარლი ვილანუევამ მოაგროვეს.

დალასელთა ზორბა ცენტრი ჯავალ მაკგი განაცხადში არ ყოფილა, ხოლო ამ პოზიციის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, სალაჰ მეჯრიმ სიმბოლურად 2 წუთი ითამაშა, რასაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მეჯრი პირველი ტუნისელია, რომელსაც ოდესმე ნბაში უთამაშია.

დალასელების მორიგი გაჩერება ლოს ანჯელესშია, სადაც 31 ოქტომბრის გამთენიისას ფაჩულიას გუნდი კიდევ ერთ დასავლელ ბობოლას – კლიპერსს დაეჭიდება.

ფეხბურთი

28 ოქტომბერი

ინგლისი. თასი

ლივერპული-ბორნმუთი 1:0
სიტი-კრ.პალასი 5:1
საუთჰემპტონი-ასტონ ვილა 2:1

გერმანია. თასი

დორტმუნდი-პადერბორნი 7:1
ფრაიბურგი-აუგსბურგი 0:3
ზანდჰაუზენი-ჰაიდენჰაიმი 0:0 (3:4პ)
ვიქტორია-ლევერკუზენი 0:6
იენა-შტუტგარტი 0:2
როიტლინგენი-ბრაუნშვაიგი 0:4
შალკე-გლადბახი 0:2
ვერდერი-კიოლნი 1:0

იტალია. სერია ა

მილანი-კიოვი 1:0
რომა-უდინეზე 3:1
ატალანტა-ლაციო 2:1
ფროზინონე-კარპი 2:1
ნაპოლი-პალერმო 2:0
სასუოლო-იუვენტუსი 1:0
ტორინო-ჯენოა 3:3
ვერონა-ფიორენტინა 0:2

სატელევიზიო ცხრილი:

1.რომა	10	7	2	1	25-12	23
2.ნაპოლი	10	6	3	1	21-8	21
3.ფიორენტინა	10	7	0	3	18-8	21
4.ინტერი	10	6	3	1	10-7	21
5.სასუოლო	10	5	3	2	13-10	18
6.ლაციო	10	6	0	4	15-15	18
7.ატალანტა	10	5	2	3	13-11	17
8.მილანი	10	5	1	4	12-15	16
9.ტორინო	10	4	3	3	16-15	15
10.სამპდორია	9	4	2	3	17-13	14
11.კიევო	10	3	3	4	13-10	12
12.იუვენტუსი	10	3	3	4	11-9	12
13.პალერმო	10	3	2	5	11-15	11
14.ჯენოა	10	3	2	5	10-14	11
15.უდინეზე	10	3	2	5	10-14	11
16.ემპოლი	9	3	1	5	10-14	10
17.ფროზინონე	10	3	1	6	8-12	10
18.ბოლონია	10	2	0	8	6-15	6
19.ვერონა	10	0	5	5	8-17	5
20.კარპი	10	1	2	7	10-23	5

საფრანგეთი. თასი

ბასტია-რენი 0:1
დიჟონი-რეიმსი 2:1

ბელგია. ჰხო ლიგა

ბრიუგე-ლეუვენი 2:0
სტანდარდი-მეხელენი 2:1
ბევერენი-შარლერუა 0:1
ვარეგემი-სტ.ტრუიდენი 4:0

თურქეთი. სუპერლიგა

ბურსა-სივასი 1:0
ქაისერი-რიზე 0:0
ტრაბზონი-გაზიანთები 2:2

კალათბურთი

29 ოქტომბერი

ნბა. ხეგეულიხელი სეზონი

ორლანდო-ვაშინგტონი 87:88
ბოსტონი-ფილადელფია 112:95
ბრუკლინი-ჩიკაგო 100:115
დეტროიტი-იუტა 92:87
მაიამი-შარლოტი 104:94
ტორონტო-ინდიანა 106:99
ჰიუსტონი-დენვერი 85:105
მემფისი-კლივლენდი 76:106
მილუოკი-ნიუ იორკი 97:122
ოკლაჰომა-სან ანტონიო 112:106
ფინიქსი-დალასი 95:111

ზაზა ფაჩულია: 10 ქულა, 10 მოხსნა

პორტლენდი-ნიუ ორლეანი 112:94
საკრამენტო-კლიპერსი 104:111
ლეიკერსი-მინესოტა 111:112

ჩოგბურთი

29 ოქტომბერი

ვტა. შემაჯამებელი ტურნირი

ჰალეპი-რადვანსკა 6:7;1:6
შარაპოვა-პენეტა 7:5;6:1

მოამზადა მისეილ ყორეოლიანმა

მოჭადრაკე ქალები ბორჯომში მოემზადებიან

ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში 12-22 ნოემბერს ჭადრაკში ევროპის გუნდური ჩემპიონატი გაიმართება. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ქალთა ნაკრებიც, რომელიც საწვრთნელ შეკრებაზე ბორჯომში გაემგზავრა.

გეტყვით, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქალთა გუნდი მხოლოდ ერთხელ, 1997 წელს იყო ჩემპიონი, სადაც ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი და ქეთევან არახამია. ჩვენებს 3-ჯერ ვერცხლის მედალი აქვთ მოპოვებული (1992; 2005; 2009) და ერთხელ ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ (2011).

მომავალ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის შემადგენლობა ასეთი იქნება:

1 დაფა: ნანა ძაგნიძე (2573 რეიტინგი); **2 დაფა:** ბელა ხოტენაშვილი (2502); **3 დაფა:** ნინო ბაციაშვილი (2500); **4 დაფა:** ლელა ჯავახიშვილი (2463); **5 დაფა** (სათადარიგო): მერი არაბიძე (2405);

ნაკრების მთავარი მწვრთნელია საერთაშორისო დიდოსტატი ელიზბარ უბილავა, ხოლო კაპიტანი – საერთაშორისო დიდოსტატი დავით ჯოჯუა.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ავთანდილ იმედაძე: „როგორც მენეჯერი, გულწრფელად ვაცხადებ, რომ პატრონი ნამდვილად გვჭირდება“

საქართველოში ჯანდაცვის ჰოსპიტალური სექტორის განვითარების მიზნით სამი საავადმყოფოს მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე გამოცხადებულ ტენდერში წინადადებების მიღება უკვე დასრულდა. წინადადებები სულ სამმა კომპანიამ წარადგინა, საიდანაც ერთი ავსტრიული, ერთი კანადური და ერთი ქართული კომპანია იყო.

თბილისში რესპუბლიკური საავადმყოფოს, ონკოლოგიური ცენტრისა და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე გამოცხადებულ ტენდერში ყველაზე დიდი ინტერესი ავსტრიულმა კომპანიამ დაიმსახურა და სრული დოკუმენტაციაც ვადებში სწორედ მან წარმოადგინა. სულ მალე მათი მმართველიც, შესაძლოა, ავსტრიული კომპანია გახდეს.

პროექტთან დაკავშირებით აკადემიკოს ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის (რესპუბლიკური საავადმყოფო) დირექტორ ავთანდილ იმედაძეს ვესაუბრეთ.

ავთანდილ იმედაძე:

– ჩვენ ყველანი ველოდებით საბოლოო შედეგებს. როგორც მენეჯერი, გულწრფელად გეუბნებით, რომ ნამდვილად გვჭირდება პატრონი. სახელმწიფომ ამაზე ვალდებულება უნდა აიღოს.

ამასთან, მიმაჩნია, რომ უცხოელი ინვესტორი არ უნდა ჩაერიოს, რადგან სახელმწიფომ თავის დროზე გააჟღერა, რომ ეს უნდა იყოს სახელმწიფო კლინიკა, თუმცა, როგორც აპირებენ, რომ გარკვეული დროით უფრო გამოცდილი მმართველი ეყოლება ამ ჰოლდინგს, ეს მხოლოდ მისასალმებელი იქნება.

ავთანდილ იმედაძის განცხადებით, გადამზადება საქართველოში მთლიანად სამედიცინო სფეროს სჭირდება.

– ეს არის ცალსახად გასაკეთებელი, რადგან ჩვენ უნდა გადავერთოთ ევროპულ სტანდარტებზე. ეს ნიშნავს, რომ მკურნალობა უნდა მიმდინარეობდეს ევროპული გაიდლაინებით.

მიუხხენის ერთ-ერთ საუნივერსიტეტო კლინიკაში ვიმყოფებოდით. მათ გვკითხეს, თუ რა სახის დახმარება გვჭირდებოდა და აღნიშნეს, რომ, მაგალითად, რუსეთში ითხოვეს აპარატურა, რადგან ექიმები შესაბამისი კვალიფიკაციის ჰყავდათ. ჩვენ აპარატურა ძალიან კარგი გვაქვს, თუმცა ზოგიერთ ექიმს ნამდვილად სჭირდება გადამზადება. ეს ყველას არ ეხება, რასაკვირველია, – აცხადებს ავთანდილ იმედაძე.

ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ საავადმყოფოში ინვესტიცია 2007 წელს განხორციელდა, თუმცა ამ ხნის განმავლობაში აპარატურა მოძველდა და განახლებას საჭიროებს.

ავთანდილ იმედაძე:

– ამასთან, თუ რეკონსტრუქციას განახორციელებენ და ისეთ დარგებს განავითარებენ, რომლებიც ჩვენთან არ არის განვითარებული, მისასალმებელი იქნება. საქართველოდან ხდება პაციენტების გადინება. ეს არის ონკოლოგიური დაავადებები, რადიაციული თერაპია და სხვა.

მხოლოდ თურქეთის მაგალითი რომ ავიღოთ, წელიწადში მილიარდზე მეტი ფინანსები გადის ქვეყნიდან. ეს თანხა საქართველოში დარჩეს, უმჯობესია. ვაცხადებთ, რომ პროფესიონალები ვართ, მაგრამ პაციენტების დიდი ნაწილი თურქეთში, გერმანიასა და ისრაელში გაედინება.

საავადმყოფოს ხელმძღვანელი ტენდერის პირობებზეც საუბრობს:

– სახელმწიფოს საკუთრებაში მხოლოდ აღნიშნული საავადმყოფოები დარჩა. ერთადერთი კრიტერიუმი ტენდერში მონაწილეობისა და საავადმყოფოების შერჩევისას სწორედ ეს იყო.

კარგი იქნება, თუ შვეიცარიის ან სხვა განვითარებული ქვეყნის მაგალითს ავიღებთ და ყველა სადარბაზოში არ გაიხსნება კლინიკა თუ რეანიმაცია. როდესაც არსებობს სახელმწიფო საავადმყოფო, ფასები რეგულირდება, კერძო კლინიკები არსებული კონკურენციის პირობებში ცდილობენ, მომსახურება არ გააძვირონ, ამიტომ სახელმწიფო კლინიკის არსებობა დღეს აუცილებელია.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან
მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

რეკორდსმენმა საიდუმლო გაამხილა

ამერიკელმა ფიტნესმწვრთნელმა ჯოშ ზაიტომერმა, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში აზიდვებში მსოფლიოს რეკორდსმენი გახდა, რეკომენდაცია მისცა იმათ, ვისაც მისი რეკორდის (10 ათასი აზიდვა 48 საათის განმავლობაში) გამეორება სურს.

როგორც ზაიტომერმა განმარტა, რეკორდის დამყარების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მან ვარჯიშების შესრულების ორი სტრატეგია შეიმუშავა. პირველი იმაში მდგომარეობდა, რომ აზიდვები უნდა დაეყო ცალკეულ ნაწილებად და თითო მისვლაზე 250 აზიდვა შეესრულებინა (ვარჯიშის დროს აღმოჩნდა, რომ ეს იდეა რთულად შესასრულებელი იყო). ალტერნატიული გეგმა ითვალისწინებდა ვარჯიშების შესრულებას გარკვეული დროის განმავლობაში: რვა წუთი აზიდვა, ორი წუთი დასვენება.

ფიტნესმწვრთნელმა რეკორდის გამეორების მსურველებს ურჩია, აითვისონ აზიდვების მისი ტექნიკა, რომლის დროსაც უფრო მეტი კუნთების დაჭიმვაა აუცილებელი და არა მხოლოდ ხელებისა და მხრების კუნთების. მისი თქმით, ჩასუნთქვა უნდა მოხდეს ხელების მოხრის და არა გამართვისას. რაც მთავარია, ამ დროს არ უნდა იფიქროთ იმაზე, თუ რა ძნელი და არასასიამოვნოა აზიდვების შესრულება, რათა სხეული ნეგატიური შეგრძნებებით არ დაიტვირთოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ავსტრალიის პოლიციამ ციკანი სამსახურში აიყვანა

დაობლებული ციკანი, სახელად მოკრივე, ავსტრალიის ახალი უელსის შტატის პოლიციის განყოფილებაში დაბინავდა და სამართალდამცავი ორგანოების უნიფორმაც მიიღო.

ციკანი ოფიცერ ბრენტონ ჩარლტონმა, რომელიც ბომბების გაუვნებელყოფის საგანგებო განყოფილებაში მსახურობს, დედა თხის სიკვდილის შემდეგ შეიფარა. მან ცხოველი განყოფილებაში მიიყვანა, რათა ამით კოლეგის ავადმყოფი შვილისთვის ესიამოვნებინა და გაემხნევებინა.

– ციკანი პირველივე ნახვით ყველას მოეწონა, – განაცხადა ჩარლტონმა და იქვე დაამატა, რომ დღისით ცხოველი თავისუფლად დასეირნობს განყოფილებაში და მაგიდების ქვეშ სძინავს, ხოლო ღამით მასზე მორიგეობით ოფიცრები ზრუნავენ.

ამჟამად ციკანი ხელოვნურ კვებაზეა, ხოლო როდესაც წამოიზრდება, ახალ თავშესაფარს მოუძებნიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დღეს მედიცინა ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივ პროდუქტებზე დამზადებულ წამლებს ანიჭებს უპირატესობას. საქართველოში ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები.

თოდუების გვარის წარმომადგენელია ლამარა თოდუა, რომელიც წარმატებით მიჰყვება თავის საქმიანობას. ამაზე მეტყველებს მადლიანი პაციენტების უამრავი ჩანაწერი.

ლამარა თოდუა აცხადებს, რომ მის საგვარეულო წამლებს უკუჩვენება არ აქვს.

ლამარა თოდუა:

● ვკურნავ ნაწოლებს ყოველგვარი ნაწიბურის გარეშე. მცენარეული ნაყენებით გაგიწმენდთ ორგანიზმს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის.

● ვარჩენ „პრიშჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტისგან განიკურნებით 10 დღეში. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას.

● ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ თმის ჩაბრუნებას, რომელიც სრულად იკურნება.

● ● ●

ლამარა თოდუა პროფესიით კოსმეტოლოგია, ამიტომ გთავაზობთ კანის გაწმენდას ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. მის მიერ დამზადებული მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა.

მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166; №10 კორპუსის წინ
და №1 კორპუსის უკან; ტელ.: 230-62-52; 599-16-10-82

ასტროპროგნოზი
30 ოქტომბრისათვის

ვერძი – კონფლიქტური დღეა, რომელიც დიდ ენერგიას წაგართმევთ. კეთილისმყოფელი პერიოდია შემოქმედი ადამიანებისათვის. ბიზნესმენებმა ადრე დაწყებული საქმე უნდა დაამთავროთ. **კურო** – მამაკაცები, რომლებიც სახელოვნებო სფეროს განეკუთვნებიან, დიდ წარმატებებს მიაღწევენ და საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცევიან. რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში კეთილგონიერება და ინტუიცია დაგეხმარებათ. **ტყუპები** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით – მამაკაცებისათვის. დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. გარკვეულ შემთხვევებში სიმტკიცისა და პრინციპულობის გამოჩენა გმართებთ. **კირჩხიბი** – თქვენთვის ემოციური აღმავლობის პერიოდია. სამწუხაროდ, სამსახურში პრობლემები შეგექმნებათ. პირად ცხოვრებაშიც ყველაფერი ისე არ არის, როგორც ისურვებდით. **ლომი** – სიტუაციის მიხედვით იძულებული ხართ, სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ქალწული** – ბიზნესის სფეროში მომუშავე ადამიანებს დღეს განსაკუთრებული წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. ოჯახში სრული იდილია სუფევს. **სასწორი** – კარგი დღეა ვაჭრობისა და ფინანსური ოპერაციებისათვის. ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **ღრიანცალი** – მოზღვავებული ენერგიის წყალობით საკუთარი ძალების რეალიზებას სრულიად ახალ სფეროში შეძლებთ. შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება, რაც ფართო შესაძლებლობებს მოგცემთ იმისათვის, რომ თქვენს იდეებს ხორცი შეასხათ. **მშვილდოსანი** – ყოველგვარი აქტიურობა მინიმუმამდე დაიყვანეთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. **თხის რქა** – წარმატებას მხოლოდ სიბეჯითე და შეუპოვრობა მოგიტანთ. თუ საქმეს დაიწყებთ, უთუოდ ბოლომდე მიიყვანეთ. სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. **მერწყული** – იზრუნეთ შეცდომების გამოსწორებაზე. დღეს განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ეცადეთ, შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ მათ, ვისაც ეს სჭირდება. **თევზები** – ეს დღე ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ. თქვენს ზრუნვას განსაკუთრებით მოხუცები და ბავშვები საჭიროებენ. ადამიანებთან ურთიერთობისას მეტი ტაქტისა და გულისხმიერების გამოჩენა გმართებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქალაქი იტალიაში, სადაც ყოველწლიურად იმართება საოპერო მომღერლების საერთაშორისო კონკურსი; 2. ფირმის, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 3. პოპულარული უკრაინული მინერალური წყალი; 4. მთიანეთი ევროპაში; 6. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 8. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ჩქარტემპიანი კუბური ცეკვა; 12. უღელტეხილი აჭარაში; 16. ცხენებშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 17. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 18. მეფეთა რეზიდენცია პარიზში.

თარაზულად: 1. რომის, არყის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 5. მინერალური წყალი სამეგრელოში; 7. ხელის კუნთების სავარჯიშო, სატანავარჯიშო იარაღი; 9. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 10. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 13. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 14. საავიაციო საჰაერო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 15. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 19. ჩრდილო ამერიკაში მზარდი გიგანტური წიწვოვანი ხე; 20. ფრანგული მსუბუქი ავტომობილი; 21. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 22. კუთხე საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დოკერი; 2. ტილი; 3. ალგორითმი; 4. ენდრო; 5. ხორბალი; 8. თექურა; 9. თითლიბაზი; 12. პრაიდი; 14. როსინი; 16. იუანი.

თარაზულად: 1. დერმატინი; 6. ფლამენგო; 7. კნეთელი; 9. თაგორი; 10. სოდა; 11. ბურნუთი; 13. ბერნი; 15. ორღანი; 17. სინდისი; 18. „მინდია“; 19. ავანსი; 20. ვიკინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „რუზინე“; 2. საკურა; 3. ენოლოგია; 4. ელიავა; 6. თიკანაძე; 8. „სტამპა“; 11. საგურამო; 12. სატურნი; 16. კაფკა; 17. ბლიცი; 13. „ბრერა“.

თარაზულად: 1. რაფსოდი; 5. „ქართუ“; 7. „ენისელი“; 9. იოგურტი; 10. ბავარია; 13. პუდინგი; 14. ლაღიძე; 15. ბანი; 19. დუმფარა; 20. კლაკიორი; 21. ქაფიანიძე; 22. ჯოყოლა.

ელისო ვირსალაძეს საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს

გამოჩენილი პიანისტი, თელავის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის დამაარსებელი ელისო ვირსალაძე დააჯილდოეს. პიანისტი, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს, სამშობლოს ეტაპობრივად სტუმრობს და თან მსოფლიოში ცნობილი ხელოვანებიც ჩამოჰყავს.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორატში მისი მეგობრები, კოლეგები, სტუდენტები და საფორტეპიანო კათედრის პროფესორები შეიკრიბნენ.

კონსერვატორიის რექტორმა რეზო კიკნაძემ ელისო ვირსალაძეს სამუსიკო ხელოვნებასა და განათლებაში შეტანილი წვლილისთვის კონსერვატორიის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

ამ წოდების აღმნიშვნელი საპატიო დიპლომი პიანისტს საზეიმო ვითარებაში გადაეცა. კონსერვატორიაში გამართულ შეხვედრაზე ელისო ვირსალაძემ სამომავლო ინტენსიური თანამშრომლობისა და პედაგოგიური აქტივობის შესახებ გეგმებზეც ისაუბრა.

გოდერძი ჩოხელის პრემია სამ გამარჯვებულზე გადანაწილდა

გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „ერთგულება“ წელს მეორედ ჩატარდა. ლიტერატურული პრემია მინიატურის ჟანრში გასულ წელს დაარსდა. მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის მეორედ ჩატარებას საფრთხე ემუქრებოდა, საჭირო ფინანსები და პრიზები გამოინახა და კონკურსანტებს შორის გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ.

კონკურსის სახელწოდება „ერთგულება“ გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი მინიატურის მიხედვით შეირჩა. პრემია ყოველწლიურად გაიცემა. კონკურსის გამარჯვებულები სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა. საპრიზო ადგილებზე გასულებს ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

200-ზე მეტი საკონკურსო ნამუშევრიდან კომპეტენტურმა ჟიურიმ სამი საპრიზო და შვიდი საუკეთესო ნამუშევარი გამოავლინა. ჟიურის გადაწყვეტილებით, გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსის პირველი ადგილი ნინო ქადაგიძეს ერგო, მეორე – ბაჩო კვირტიას, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი მარიამ წიკლაური გახდა.

დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „სინფონიეტა“, გოგა პიპინაშვილის ხელოვნების საყმაწვილო ცენტრი „არტ-ჰოლი“, რომელმაც ჩოხელის მოთხრობების მიხედვით დადგმული სპექტაკლი წარმოადგინა. მსახიობებმა ნანა შონიამ, ნანა ხურითმა, ლილი ხურითმა და ზურა ყიფშიძემ გამარჯვებული მინიატურები წაიკითხეს.

სამგლოვიარო განცხადებები

ვენერა ტაბატაძის გახსენება

ჩვენო საყვარელო დედა, 30 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. 14 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. შენ ხომ სიცოცხლისა და სიყვარულის ეტალონი იყავი – კარგი დედა, კარგი მეოჯახე, განუმეორებელი იუმორის მქონე.

ჭიათურის საზოგადოებამ გულისტკივილით გაგაცილა უკანასკნელ გზაზე. შექმენი ბრწყინვალე ოჯახი შენს მეუღლესთან ერთად და მათ მოთხოვნებს ფანტასტიკურად ასრულებდი ცხოვრებაში. გიყვარდა შენი ყველა ნათესავი. შენ შენი დაუოკებელი ინტერესით განათლება მიეცი შენს შვილებსა და შვილიშვილებს, იყავი თავმდაბალი და სანათესაოში დაფასებული პიროვნება. განიცდიდი ნათესავის ტკივილსა და სიხარულს. დედა, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ყოველი დღე შენს ხსენებაში ვართ.

უზომოდ შენზე შეყვარებული შენი შვილები მანანა და ვახტანგი, რძალი ნათელა თამაზაშვილი, შვილიშვილები მანანა, სერგი და მიშიკო გრძელიშვილები, მთელი შენი სანათესავო

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

თამარ მეფე მსოფლიოს უძლიერეს ქალთა სიაში მოხვდა

საქართველოს მეფე თამარი მსოფლიოს იმ 13 უძლიერეს ქალთა სიაში მოხვდა, რომლებმაც თავი გონივრული საქციელით გამოიჩინეს.

უცხოური ვებგვერდი აქვეყნებს იმ ქალების ჩამონათვალს, რომლებმაც მთელი კაცობრიობის ისტორიაში თავიანთი სიმამაცით განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს.

„ახალი თაობა“ ამ მამაცი ქალების ჩამონათვალს გთავაზობთ:

1. თამარ მეფე – დაიბადა სამეფო ოჯახში და გამოირჩეოდა მაღალი ინტელექტით. მამის გარდაცვალების შემდეგ თამარი გახდა მეფე და არა დედოფალი. მან გააძლიერა თავისი ქვეყანა და მართავდა მას ოქროს ხანაში. თამარ მეფემ ქვეყნიდან გააძევა პირველი ქმარი იური რუსი იმის გამო, რომ მას გადატრიალების მოწყობა და ქვეყანაში დესტაბილიზაცია სურდა.

2. აჰოტეპ პირველი – დედოფალი ძველ ეგვიპტეში. მან 90 წლამდე იცოცხლა, ჩამოაყალიბა დინასტია, რომელიც ეგვიპტეს რამდენიმე თაობის პერიოდში მართავდა.

3. დები ჩინგები– ვიეტნამელი ეროვნული გმირები. ისინი ხელმძღვანელობდნენ აჯანყებას ჩინეთის დინასტიის ხანის წინააღმდეგ, რომელიც ვიეტნამის ისტორიაში პირველ საერთოსახალხო ომად იქცა.

4. ტენგ სეიერი – ჩინელი მეომარი ქალი. მან მამის მოკვლისთვის შურისძიება გადაწყვიტა, პირადად შეკრიბა ჯარი ადგილობრივი მოსახლეობისგან და წინ გაუძღვა მტერთან საბრძოლველად. გამარჯვების შემდეგ ქალაქს, რომელშიც მეომარი ქალი ცხოვრობდა, მისი სახელი ეწოდა.

5. ტომოე გოზენი– ომის ვეტერანი, უბადლო მხედარი და ქალი-სამურაი. ლეგენდის მიხედვით, ის სწორედ იმ მამაკაცზე გათხოვდა, რომელიც ბრძოლაში თავად დაამარცხა.

6. ელისაბედ სთოუქსი – ქალი მოკრივე. მან სახელი შიშველი ხელებით ბრძოლით გაითქვა. ელისაბედმა თავისი მოწინააღმდეგე ჰანა ჰაიფილდი 22-წუთიან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა და მთელი ამ ხნის განმავლობაში შიშველი ხელებით ჩხუბობდა.

7. ლუიზა ელიზაბეტ ვიზე ლებრენი – სკანდალური მხატვარი. იმ პერიოდისთვის ის ხატავდა გაღიმებულ ადამიანებს, რომლებსაც კბილები უჩანდათ. ამას კი კანონი კრძალავდა. მან მოახერხა და საფრანგეთის რევოლუციის დროს თავი რუსეთს შეაფარა, სადაც აქტიურად განაგრძო საყვარელი საქმიანობა.

8. ჯუანა გალანი – მეომარი ქალი. როცა მის ქალაქს თავს ნაპოლეონი დაესხა, შეკრიბა მანდილოსნები და საბრძოლველად მოამზადა. ისინი ფრანგ ჯარისკაცებს თავზე ცხელ ზეთსა და წყალს ასხამდნენ, იბრძოდნენ ჯოხებით, რკინის ჭურჭლით. მათმა მონდომებამ შედეგი გამოიღო და ნაპოლეონის ჯარისკაცებმა ამ ომში მარცხი განიცადეს.

9. ლიდია დაგარი– გმირი ქალი. ამერიკული რევოლუციის დროს მის სახლში დასახლდნენ ინგლისელი ოფიცრები. კარადაში დამალული ლიდია მალულად ახერხებდა ინგლისელების გეგმების გაგებას ამერიკელებზე თავდასხმასთან დაკავშირებით. მან ინგლისელების გეგმები გენერალ ვაშინგტონს გადასცა და მათი გეგმებიც ჩაიშალა.

10. ლოზენი– აპაჩი მეომარი. ის თავგამოდებით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. დაეხმარა ბავშვებსა და ქალებს, გაჰქცეოდნენ ამერიკულ ჯარებს და ბოლომდე იბრძოდა ჯერონიმოსთან ერთად. ლოზენი ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაშივე გარდაიცვალა.

11. ჟოზეფინა ბეიკერი – მამაცი ქალი. ის ყოველთვის ღიად აპროტესტებდა რასიზმს ამერიკაში, წავიდა საფრანგეთში და თავისი პოპულარობის გამოყენებით შეაგროვა ინფორმაცია ნაცისტი ჩინოვნიკების გეგმების შესახებ, რომელიც შემდეგ ფრანგულ მხარეს გადასცა.

12. ღამის ალქაჯები – რუსი მფრინავები. მათ ასობით მისია წარმატებით განახორციელეს და გერმანელი დამპყრობლები გაანადგურეს. ისინი მტრის სივრცეში შეღწევის დროს ძრავებს რთავდნენ, საკუთარ სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აგდებდნენ, რათა მტრის ტერიტორია მაქსიმალურად უხმაუროდ დაებომბათ.

13. პარისა ტებრიზი – ქალი ჰაკერი. მისი სახელია „თეთრი შლაპა“, მუშაობს გუგლში და იცავს ყველა დაუცველ ინფორმაციას. მისი წყალობით მოპარვისგან დაცულია მილიონი მომხმარებლის პირადი მონაცემები. ის ლიდერია იმ 30 ექსპერტისგან შემდგარ გუნდში, სადაც მხოლოდ მამაკაცები არიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ძაღლმა პატრონი დაჭრა

ამერიკის ინდიანის შტატში ლაბრადორმა, სახელად ჩახმახმა, თავისი პატრონი დაჭრა.

ინციდენტი სამონადირეო კომპლექსში მოხდა, რომელიც შტატის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. იქ 25 წლის ელი კარტერმა თავისი შინაური ცხოველი წაიყვანა, რათა ფრინველებზე ენადირა. ქალმა საფანტით დატენილი თოფი დროებით მიწაზე დადო ისე, რომ იარაღი დამცველზე არ დაუყენებია. ძაღლმა შემთხვევით ფეხი თოფს დააბიჯა, რასაც გასროლა მოჰყვა.

შედეგად ქალი ფეხში დაიჭრა. ის უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და გაუშვეს, ვინაიდან, საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა.

როგორც პოლიციის წარმომადგენლებმა გამოარკვიეს, კარტერს სპეციალური სწავლების კურსი არ გაუვლია, რომელიც, სანადირო ლიცენზიის მიღებასთან ერთად, 1986 წლის შემდეგ დაბადებულთათვის აუცილებელია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ილია ელოშვილი: „ბიზნესსექტორსა და მთავრობას შორის კომუნიკაცია უნდა გაძლიერდეს“

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილის ინფორმაციით, ინვესტორთა საბჭოს პირველ შეხვედრაზე განიხილეს საკითხი, როგორ გააუმჯობესონ კომუნიკაცია მთავრობას, კერძო სექტორსა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს შორის.

როგორც ილია ელოშვილმა ჟურნალისტებს საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, გუშინვე განიხილეს რამდენიმე კონკრეტული საკითხი სხვადასხვა კანონმდებლობასთან დაკავშირებით. მათ შორის არის შრომის ინსპექცია, ასევე საუბარი შეეხო საპენსიო რეფორმას.

– მთავარი არის ის, რომ კომუნიკაცია ბიზნესსექტორსა და მთავრობას შორის უნდა გაძლიერდეს. რაც შეეხება შრომის ინსპექციას, ამასთან დაკავშირებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს არის აუცილებლად გასატარებელი რეფორმა, მაგრამ ეს უნდა გატარდეს მჭიდრო კავშირში ბიზნესთან, ბიზნესასოციაციებთან და ამან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააზარალოს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, – აღნიშნა ილია ელოშვილმა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით ინვესტორთა საბჭოს პირველი შეხვედრა გაიმართა.

ინტერპრესნიუსი

TV პროგრამა

პარასკევი 30 ოქტომბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00, 02.20 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. "**ანგელოზის სახე**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტრო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "არქიტექტურა" **14.05** მხ/ფ "**სასახლის პრომატეები**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი **21.00** ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" **22.00** მხ/ფ "**თარგმანში დაკარგულნი**" (ბ.მიურეი) **23.29** "კომუნიკატორი" **23.30** სპორტული გადაცემა **23.50 რაგბი.** მსოფლიო თასი. ბრინჯაოს მედლისთვის: **01.50** სპორტული გადაცემა **02.30** მხ/ფ "**სასიკვდილო რბოლა-2**"

08.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ჯონ სფარის ნახატები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "შავი მატერიის საიდუმლო/ **11.00** დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **22.00** ტ/სერ. "**ლონს ანჯელესის პოლიცია**" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**კონსპირატორი**" (რ.რედფორდი)

06.00 სერ. "**კარმა**" **06.30** სერ. "**ბოშა ქალი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**საიდუმლო**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სერ. "**ჟუმოგი**" **00.30** მხ/ფ "**ამერიკელი ნინჯა**" (ს.ჯეიმსი) **02.15** ქრონიკა (**10** წთ) **02.25** მხ/ფ "**მელიებზე მონადირე**" (ვ.რედგრეივი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ძარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **22.50** ქერის უბანი **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაჭაღები**" **7** (სეზ.8) **00.00** ელიტ მოდელ ლუკი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა **06.15** კვირაკე **07.20** დ/ფ "ოშკი-ქვის დედაენა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** სალბუნი "სისხლის განხილვა" **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ურთხმელი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** საყმაწვილო ენციკლობედია **16.10** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.35** მიწათმოქმედი "სათბურები" **17.00** დ/ფ "ოსტატები-ჭედურობა" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-სხალთა (ხულო) **20.00** თაობა ზეტი "სპეციფექტები" **20.40** ძილი ნებისა "მძლეთამძლე" **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "სვანეთი-ფესვთა ღაღადი" II ფ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.35** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ფესტივალი-ციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული" 11.05 სერიალი "ჟუჯეი და გუნეი" 12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **14.05 სერიალი "დაკარგული დრო" 15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** "თეკუნას კულინარიუმი" **16.05, 17.05 სერიალი "ტატიანა" 18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "ნადირობა" 20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით" 21.30** თოქ-შოუ "პენტაგონი" **23.00 სერიალი "ჩემი საჭვარელი და" 1.30 სერიალი "ტატიანა"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 ოქტომბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3962

ევრო — 2.6502

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6655

100 რუსული რუბლი — 3.7086

ამინდის პროგნოზი 30 ოქტომბრისთვის

კალეიდოსკოპი

ინტერნეტში კიმ კარდაშიანის ქომაგების რაოდენობამ 50 მილიონს გადააჭარბა

ამერიკის ტელევიზიის ვარსკვლავ კიმ კარდაშიანის ინსტაგრამში ფოლოვერების რიცხვმა 50-მილიონიან ნიშნულს გადააბიჯა, რამაც მისი აკაუნტი პოპულარულობის მიხედვით სოციალურ ქსელში მეორე ადგილზე გაიყვანა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავად კარდაშიანმა ფოლოვერების რაოდენობის ასეთი ზრდა მხოლოდ მას შემდეგ შენიშნა, როდესაც მათმა რაოდენობამ 50,1 მილიონ ადამიანს გადააჭარბა. ამ მიღწევის აღსანიშნავად ტელევარსკვლავმა მეუღლე კანიე უესტთან ერთად გადაღებული სელფი გამოაქვეყნა.

– დაიცადეთ! ვიცი, რომ დავაგვიანე, მაგრამ... 50 მილიონი ფოლოვერი! თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მიყვარხართ! – მიაწერა ახლად გამოქვეყნებულ სურათს კარდაშიანმა.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ინსტაგრამის ყველაზე პოპულარული მომხმარებელი მომღერალი და მსახიობი ტეილორ სვიფტია, რომლის ინტერნეტთაყვანისმცემელთა რაოდენობა 52,7 მილიონ ადამიანს აღწევს. მესამე ადგილზე კი მომღერალი ბიონსეა 49,1 მილიონი ფოლოვერით.

მაიამიში ყველაზე მაღალი ქვიშის ციხესიმაგრე ააგეს



მაიამის პლაჟზე ააგეს ქვიშის ციხესიმაგრე, რომლის სიმაღლე 13,7 მეტრს აღწევს. გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა ის მსოფლიოში ყველაზე დიდად აღიარეს.

ქვიშის ციხესიმაგრის აგებაზე 20 ადამიანი მუშაობდა. მის ასაშენებლად 1800 ტონა ქვიშა იქნა გამოყენებული. ქანდაკებაზე მთელი მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ღირსშესანიშნაობებია გამოსახული, მათ შორის ტაჯმახალი, თავისუფლების ქანდაკება და პიზის კოშკი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნაგებობა მაიამიში სამი კვირის განმავლობაში იქნება აღმართული.

აღნიშნული ქანდაკება ავიაკომპანია თურქიშ ეირლაინის შეკვეთით ააგეს, რომელმაც ასეთი საშუალებით გაუწია რეკლამა მაიამიდან სტამბოლში ფრენებს. ეს მიმართულება ავიაგადამყვანმა 25 ოქტომბერს გახსნა.

ადრინდელი რეკორდი ბრაზილიაში 2014 წელს აგებულ ციხესიმაგრეს ეკუთვნოდა, რომლის სიმაღლე 12,5 მეტრს შეადგენდა.

მინისკვრის შიშით სკოლაში მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აკრძალეს

იტალიის ქალაქ ავეცანოს ერთ-ერთი საშუალო სკოლის ადმინისტრაციამ მოსწავლეებს მაღალქუსლიანი ან პლატფორმიანი ფეხსაცმლითა და შლოპანცებით სიარული აუკრძალა, რომლის მიზეზადაც რეგიონის მაღალი სეისმური საფრთხის შემცველობა დასახელდა.

– ეს გადაწყვეტილება პურიტანული თვალთახედვის კი არა, მოსწავლეებისთვის უსაფრთხოების დაცვის საფუძვლების გაცნობის შედეგია, – განმარტა სასწავლო დაწესებულების დირექტორმა ანა ამანციმ.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან, მაგრამ ახალ წესებს დაემორჩილებიან. თავის მხრივ, ერთ-ერთმა მოსწავლემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება, თუ ადმინისტრაცია უფრო სერიოზულ საკითხებზე იფიქრებს, მაგალითად, როგორ მოაგვაროს სკოლაში გათბობის პრობლემა.

ამავე დროს, უცნობია, თუ როგორ დაისჯება ის მოსწავლე, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის ახალ წესებს არ დაემორჩილება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლევან კობიაშვილი: „საქართველოს ნაკრებს პოტენციალი აქვს“

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი 28 ოქტომბერს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა.

ლევან კობიაშვილი:

– 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში გრანდი არ გვყავს, მაგრამ მეტოქეებად ძალიან მაღალი დონის ნაკრებები გვერგო. ეროვნული ნაკრები მომავალი ციკლისთვის მაქსიმალურად კარგად უნდა მოემზადოს. თავისუფლად შეიძლება საშინაო მატჩებში ნებისმიერ მეტოქესთან მოგება და ქულის აღება.

ბოლო წლებში თითქმის ყოველთვის ორი გრანდი გვხვდებოდა და შესარჩევი ციკლის დაწყებამდე უკვე განწირულები ვიყავით, ახლა სხვა მდგომარეობაა. თუმცა, ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი – რამდენად არის ქართული ფეხბურთი მზად იმისთვის, რომ რაიმე დიდ წარმატებას მივაღწიოთ.

კობიაშვილი ამბობს, რომ ძნელი იქნება ჯგუფიდან გასვლა, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

– ასეთი გუნდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რომ შეგვხვედროდნენ წარმატებაზე ფიქრი უფრო ადვილი იქნებოდა, რადგან 2 გუნდი პირდაპირ გადის, ერთი კი ფლეი ოფში თამაშობს, მუნდიალზე სხვა სისტემაა. მხოლოდ ერთი გუნდი გადის პირდაპირი წესით, მეორე კი ფლეი ოფში თამაშობს.

სფფ-ის პრეზიდენტმა ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების შესახებ საუბრისას თქვა, რომ გრძელვადიანი პროექტი უნდა შემუშავდეს.

– გერმანიაში ფეხბურთის განვითარების ბოლო პროგრამა 10-15 წლის წინ დაიწყო. პროფესიონალურის გარდა, გერმანელები სამოყვარულო დონეზე, სკოლებსა და აკადემიებში მაქსიმალურად ცდილობდნენ მასობრივობის გაზრდას, რამაც შედეგები მოიტანა. მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთი რეგიონებში განვითარდეს.

მისი თქმით, ყოველთვის საუბარია იმაზე, რომ ვართ ნიჭიერები და 17 წლის შემდეგ განვითარება გვიჭირს.

– მთავარი პრობლემა ისაა, რომ ეს ბავშვები წლების განმავლობაში არ ვითარდებიან სწორად. ეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას გამოკვეთს, მწვრთნელების ლიცენზირებასა და განათლებას. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი პრობლემაა და მწვრთნელების განათლებისა და გადამზადების გარეშე წარმოუდგენელია ბავშვთა ფეხბურთის განვითარება, – განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

მ. ჟ.

ნინო ანანიაშვილი მოსკოვში იცეკვებს

ქართველი პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი მოსკოვში იცეკვებს.

30 ოქტომბერს მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში ფრედერიკ ეშტონის ბალეტების საღამო გაიმართება. აქტიური რეპეტიციები უკვე დაწყებულია და მათ სამეფო ბალეტის რეპეტიტორი გრანტ კოილი უძღვება.

საღამოში ცნობილ მოცეკვავეებთან ერთად ნინო ანანიაშვილიც მიიღებს მონაწილეობას. „მარგარიტა და არმანში“ ნინო ანანიაშვილი თეატრის მოწვეულ სოლისტ სერგეი პოლუნინთან ერთად იცეკვებს.

რუსეთში ხანგრძლივი კარიერის მიუხედავად, ნინო ანანიაშვილს მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში არასოდეს უცეკვია და „მარგარიტა და არმანით“ ამ სცენაზე მისი დებიუტი შედგება.

ეკა ირემაშვილი

იუმორი

კაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ჭამის მადას ვუჩივი, ხან მაქვს, ხან არ მაქვს.

– როდის არ გაქვს?

– კარგად რომ გამოვძღები, მაშინ.

•••

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– ბრალდებულო, მოქალაქეს შვიდი ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით როგორ მიაყენეთ?

– მომიტანეთ იარაღი და გაჩვენებთ.

•••

ბავშვები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– გუშინ მამაჩემმა სამმეტრიანი თევზი დაიჭირა.

– რატომ იტყუები? სამმეტრიანი თევზი არ არსებობს, აბა მაჩვენე?

– იცოდა, რომ არ დამიჯერებდით და გაუშვა.

•••

გვიან ღამით ტელეფონი რეკავს:

– ალო, ბორდელია?

– აბა რა, მოიცადე, ახლავე ვნახავ, დედაშენი თუ განთავისუფლდა და დავუძახებ...

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– იცი რა? მე მითხრეს, რომ შენ ჩემ ცოლთან დადიხარ და მე ეს არ მომწონს!

– იცი რას გეტყვი, მიდი და შენ და შენი ცოლი შეთანხმდით, იმას მოსწონს, შენ არ მოგწონს...

•••

შუქნიშანთან მანქანაა გაჩერებული. მძღოლი ქალია. უკნიდან საპატრულო მანქანა მიადგა. ამ დროს აინთო ყვითელი. მანქანა არ იძვრის. აინთო მწვანე. მანქანა ისევ არ იძვრის. პატრულმა მიაძახა:

– გოგონი, რა, არ აინთო შენი მოსაწონი ფერი?

•••

ორი მანქანა შეეჯახა ერთმანეთს. მანქანები დაიმტვრა, მაგრამ მძღოლებს არაფერი მოუვიდათ. ქართველი მძღოლი ამბობს:

– ღმერთმა მომცა, ღმერთმა წამართვა.

– ერთი ვიყიდე, მეორესაც ვიყიდი, – ამბობს სომეხი მძღოლი.

მერე კონიაკის ბოთლი ამოიღო და ქართველს შესთავაზა:

– მოდი, გადარჩენის დავლიოთ.

სომეხმა დაუსხა, ქართველმა დალია და ეკითხება:

– შენ რატომ არ სვამ?

– მე მერე დავლევ... აი, პატრულიც მოვიდა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↓

შვეულად: 1. სტუმართმოყვარე, გულუხვი მასპინძელი; 2. კოღოს ძველი ქართული სახელწოდება; 3. ძველი, იშვიათი წიგნებით მოვაჭრე; 4. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო; 5. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 8. შეძლებული გლეხის სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 9. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 12. ტროპიკებში ბინადარი მოკლეხორთუმიანი ცხოველი; 14. მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი; 16. საბანკო შეტყობინება.

თარაზულად: 1. უმაღლესი კვალიფიკაციის ფარმაცევტი; 6. ნოდარ დუმბაძის რომანი; 7. ნახშირის სახატავი ფანქარი; 9. უბანი ძველ თბილისში; 10. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 11. უნგრელი კომპოზიტორი; 13. მომწამვლელი ნივთიერება; 15. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 17. ქალაქი შვეიცარიაში; 18. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 19. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 20. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა